ისტორიის ფურცელი

დეკანოზი დიმიტრი აბრაამის ძე ზოტიკაშვილი 1813-1867

ბაძოს წმ. ნიკოლოზის ეკლესია

დეკანოზი დიმიტრი აბრაამის ძე ზოტიკაშვილი/ ზოტიკაძე 1813 წელს ქართლში, დუშეთის მაზრაში, სოფ. ქაისხევში აზნაურობის მაძიებლის ოჯახში დაიბადა. მათი გვარის წარმომავლობის ისტორია ასეთია. 1781 წლის საარქივო მასალებში მითითებულია, რომ იმერეთიდან ქაისხევში (დუშეთის რაიონი) **მღვდელი ზოტიკე პეტრეს ძე ფისაძე** ჩასახლდა. მისმა ვაჟმა, **ბარნაბემ** დასაბამი დაუდო ზოტიკაშვილების გვარს. იგი ერეკლე მეფემ ქაისხევის მოურავად დანიშნა. არსებობს საბუთი, სადაც 1804 წელს რუსთა წინააღმდეგ დუშეთის მხარის მთიელთა აჯანყების სათავეში მდგომი უფლისწული ფარნაოზი (ერეკლე II-ის ვაჟი), ბარნაბე ზოტიკეს ძეს სწერდა: **„რუსებს რომ ამოსდგომიხარ გვერდში, ნეტავ ვიცოდე, რა სიკეთე გაგიწიეს მაგათა, რით მოგხიბლეს, ან რასა გპირდებიან, რომ ადგილიდან აღარ იძვრი. თუ დღეს კაცად ითვლებით და ქვეყანაზე რამე ფასი გდევთ, ეს ხომ ჩვენი ოჯახის წყალობით. მაშ, დაუყოვნებლივ გვეახელ, გვემსახურე და ძველებური წყალობა არ მოგაკლდებაო“** (დოკუმენტი სრული სახით დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება). პირველად გვარი ზოტიკაძე-ზოტიკაშვილი 1810 წელს გვხდება. ამ ბარნაბეს ვაჟი ან ძმა უნდა ყოფილიყო **მღვდელი აბრაამი,** რომელიც დიმიტრის მამა გახლდათ. 1850 წლის 6 დეკემბრის ბრძანების საფუძველზე მღვდელ დიმიტრის აზნაურობა მიენიჭა. იგი იხსენიება 1850 წელს სანკტ-პეტერბურგში გამოცემულ ე.წ. „ბარხატნაია კნიგაში“, სადაც ჩამოთვლილია საქართველოს აზნაურები.

დიმიტრიმ წარჩინებით დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. 1839 წლის 7 სექტემბერს იგი თელავის სასულიერო სასწავლებელში პირველი კლასების მასწავლებლად დაინიშნა. ამასთანავე მაღალ კლასებში ოსური ენის სწავლება დაევალა. 1841 წლის 1 ოქტომბრიდან 1842 წლის 26 აპრილამდე და 1842 წლის 1 სექტემბრიდან 1843 წლის 1 ივლისამდე მეორე კლასებსაც ასწავლიდა. 1843 წლის 24 აგვისტოს გორის სასულიერო სასწავლებელში ქვედა განყოფილებების პედაგოგად გადაიყვანეს. 1843 წლის 30 სექტემბერს თბილისის სასულიერო სემინარიის მმართველობამ თელავის სასწავლებელში ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მადლობა გამოუცხადა. 1845 წლის 23 სექტემბერს საქართველო ეგზარქოსმა ისიდორემ (ნიკოლსკი) დიაკვნად აკურთხა, იმავე წლის 26 სექტემბერს მღვდლად დაასხა ხელი და ნუხის სამი მღვდელმთავრის სახ. ტაძრის წინამძღვრად დანიშნა. 1846 წლის 16 იანვარს ნუხის სამაზრო სასწავლებელში საღვთო სჯულის პედაგოგად დაადგინეს. 1847 წლის 16 აგვისტოს შემახის წმ. ნიკოლოზის სახ. საკათედრო ტაძარში გადაიყვანეს (თუმცა შტატით ერევნის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის საფარველის სახ. საკათედრო ტაძარს მიაწერეს და იქ მეორე მღვდლის ადგილზე ითვლებოდა) და იქაც მასწავლებლად დაინიშნა. 1848 წლის 30 აპრილს შემახის წმ. ნინოს სახ. სკოლაში გადაიყვანეს. 1848 წელს შემახის სისხლის სამართლის სასამართლოსა და სამოქალაქო სასამართლოში მუდმივ დეპუტატად აირჩიეს. 1848 წლის 26 ივლისს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1849 წლის 20 ივნისს წმ. ნინოს სასწავლებელში ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის

დეკანოზი დიმიტრი ზოტიკაშვილი. ფოტო გადმოლებულია ზეთის ნამლით დახატული სურათიდან

თავადის ქალმა ელისაბედ ვორონცოვმა ვერცხლით შემკული ვაზით დააჯილდოვა. 1851 წლის 21 აპრილს სკუფია უბოძეს. 1853 წლის 17 დეკემბერს ქრისტიანულ სჯულზე მრავალი მალაკნისა და სხვა წარმართის მოქცევისათვის სამოქალაქო მმართველობამ ოქროს საათით დააჯილდოვა. 1853 წელს შემახის ახალი საკათედრო ტაძრის აღმშენებელი კომიტეტის წევრად აირჩიეს. 1854 წლის 18 იანვარს შემახის წმ. ნინოს სახ. სასწავლებელი ოთხკლასიან უმაღლეს სასწავლებლად გადაკეთდა და იქაც საღვთო სჯულის სწავლება დაევალა. 1854 წლის 20 ივლისს აღნიშნული სასწავლებლის რევიზიის დროს კავკასიის სასწავლო ოლქის სამზრუნველოს ხელმძღვანელობის მხრიდან მადლობა გამოეცხადა. 1854 წლის 3 თებერვალს — 181 მალაკნის მონათვლისთვის წმ. ანას სახ. III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. 1858 წლის 14 აპრილს კამილავკა ეწყალობა. 1859 წლის 8 სექტემბერს დეკანოზის წოდება მიენიჭა. 1859 წლის 24 ნოემბერს მინისძვრის გამო იმდენად დაზიანდა შემახის გუბერნია, რომ იგი გაუქმდა და შეიქმნა ბაქოს გუბერნია. ამის გამო, სამოქალაქო მმართველობა ქ. ბაქოში გადავიდა. დეკ. დიმიტრი ბაქოს წმ. ნიკოლოზის სახ. ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა, რომელიც 1858 წლის 4 მაისს იკურთხა. მასვე დაევალა ბაქოს ოთხკლასიან სასწავლებელსა და ბაქოს წმ. ნინოს სახ. სკოლაში საღვთო სჯულის სწავლება. 1860 წელს ბაქოს ციხესიმაგრეში არსებული სკოლის საღვთო სჯულის მასწავლებლადაც დაინიშნა. 1860 წელს მიიღო ჯილდო — ყირიმის ომის (1853-1856) სამახსოვრო წმ. ვლადიმერის ლენტიანი ბრინჯაოს ჯვარი. 1862 წელს ბაქოს საკათედრო ტაძართან საკვირაო სკოლა გახსნა, სადაც თავადვე ასწავლიდა. 1863 წლის 13 აპრილს სამკერდე ოქროს ჯვარი მიიღო. 1865 წლის 13 სექტემბერს ოთხკლასიანი სასწავლებელი პროგიმნაზიად გადაკეთდა და აქაც საღვთო სჯულის სწავლება დაევალა. 1865 წლის 31 იანვარს კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების მეოთხე განყოფილების წევრად აირჩიეს. დეკანოზი დიმიტრი 1867 წლის 30 მარტს მოულოდნელად გარდაიცვალა. იგი საკმაოდ ახალგაზრდა წავიდა ამქვეყნიდან. უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონი (საძაგლიშვილი) მის შესახებ სწერდა, რომ დეკანოზ დიმიტრის პატიოსანი და უმწიკვლო მოღვაწეობისათვის ბაქოში წმინდანად სთვლიდნენ. მოძღვარს დარჩა მეუღლე ელენე გრიგოლის ასული (დაბ. 1826წ.) და შვილები: კონსტანტინე (დაბ. 1840წ.), ალექსანდრე (დაბ. 1843წ.), ანა (დაბ. 1848წ.), ეკატერინე (დაბ. 1850წ.), ნინო (დაბ. 1852წ.), ალექსანდრა (დაბ. 1855წ.), ვლადიმერი (დაბ. 1858წ.), ოლღა (დაბ. 1862წ.), ნადეჟდა (დაბ. 1865წ.).

წყარო: საქართველოს ეროვნული საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 488, აღწერა 1, საქმე 14615; საქმე 19158; საქმე 21118; გაზეთი „ფუძნარი" 2018წ. 1 (114), გვ. 5.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი. ჩვენი ტელეფონებია: 593 19 36 04; 599 88 66 90; 2 32 48 66; 2 98 95 41

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი: LBRTGE22.
ანგარიში: № GE57LB0115123530407000. სახაზინო კოდი — 45 01 56.
9 772587 506008
რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა: bokuchavanana1@gmail.com.
მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მოადგილე: **ნანა ბოკუჩავა** ტ: 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (მიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, დიაკონი გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბუღალტერი: ვლასი ჯიბლაძე; გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი

ვარს), სხვები კი - იოანე ოქროპირს (ხს. 13 ნოემბერს). ამ მიზეზით ქრისტიანებს შორის განხეთქილება წარმოიშვა.

ღვთის ნებით, 1084 წელს სამივე მღვდელმთავარი ერთად ეჩვენა მიტროპოლიტ იოანეს და გაანუცხადეს, რომ თანასწორნი არიან უფლის წინაშე და უბრძანეს ერთ დღეს დაეწესებინათ მათი ხსენება.

ისტორიის ფურცელი

დეკანოზი კლიმენტი ჭანტურაია 1866-1941

„სინსკიმ წინადადება მისცა მამა კლიმენტი ჭანტურაიას, საღვთო სჯული რუსულად ასწავლოს... როგორც ჭანტურაიამ, ისე სხვა მასწავლებლებმაც ცრვი უარი უთხრეს მას ასეთი წინადადების შესრულებაზე"

დეკანოზი კლიმენტი დიმიტრის ძე ჭანტურაია 1866 წელს სამეგრელოს სამთავროში აზნაურის ოჯახში დაიბადა. თავდაპირველად სწავლობდა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში. 1890 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. მეექვსე კურსზე საქართველოს ეგზარქოსმა პალადიმ (რაევი) სტიქარი უკურთხა. 1891 წლის 6 მარტს გურია-სამეგრელოს ეპარქიის კანცელარიაში და იმავე ეპარქიის სამზრუნველოს საქმის მწარმოებლად დაინიშნა. 1891 წლის 3 აპრილს ბათუმის სამრევლო-საეკლესიო სკოლის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. 1892 წლის 8 ივლისს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგოლმა (დადიანი) დიაკვნად აკურთხა, მეორე დღეს მღვდლად დაასხა ხელი და ფოთის საკათედრო ტაძრის კრებულში განამწესა. ხელდასხმის დღიდან იგი იყო გურია-სამეგრელოს ეპარქიის კანცელარიის მდივნის თანაშემწე. 1893 წლის 6 თებერვალს საგვაზაოს მთავარანგელოზთა სახ. ორშტატიან ტაძარში მეორე მღვდლად დაინიშნა, ხოლო 1894 წლის იანვრიდან ხსენებული ტაძრის წინამძღვარი გახდა. 1893 წელს სუჯუნის ოლქის სამღვდელოების მხრიდან არჩეულ იქნა დეპუტატად, ხოლო იმავე წელს აირჩიეს სამეგრელოს ეპარქიის სამღვდელოების XXXI კრების თავმჯდომარედ, რომელიც სასულიერო სასწავლებლის საქმეების გასაუმჯობესებლად იკრიბებოდა. 1894 წელს სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის ფინანსების შემმოწმებელი სარევიზიო კომიტეტის თავმჯდომარეა. რევიზიის დროს მან დადებითად წარმოაჩინა თავი, რის გამოც, 1895 წელს ეპ. გრიგოლმა მწყემსმთავრული მადლობა გამოუცხადა. 1894 წლის 30 იანვარს სამეგრელოში ახალი სამთავარხუცესო ოლქები შეიქმნა და მღვდ. კლიმენტი ნოსირის ოლქის კეთილმოწესედ დაადგინეს. 1894 წლის 24 სექტემბერს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1895 წელს არჩეულ იქნა თავმჯდომარედ სამეგრელოს ეპარქიის სამღვდელოების XXXII შეკრებაზე. 1896 წელსაც სარევიზიო კომიტეტის თავჯდომარეა. 1896 წელს სკუფია უბოძეს. 1899 წელს სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის მმართველ საბჭოში სამღვდელოების მხრიდან არჩევით შეიყვანეს. 1901 წლის 6 მაისს კამილავკა ეწყალობა. 1901 წლის 7 მარტს ფოთის დიდ კუნძულზე მდებარე ახლადგახსილ წმ. ოლღას სახ. სამრევლოს წინამძღვრად დაადგინეს. 1902 წლის 3 ოქტომბერს ფოთის სასაფლაოს წმ. ნიკოლოზის სახ. ტაძარში გადაიყვანეს. 1902 წელს გურია-სამეგრელოს ეპარქიალური სარევიზიო კომიტეტის თავმჯდომარე გახდა. იმავე წლიდან გურია-სამეგრელოს ეპარქიალური სამზრუნველოს წევრია, ხოლო 1903 წლიდან იმავე სამზრუნველოს საქმის მწარმოებელი. 1903 წელს ფოთის ორკლასიანი სამრევლო-საეკლესიო სკოლის საღვთო სჯულის მასწავლებლად დაინიშნა. 1904 წლის 5 მაისს ერთი თვის ვადით გურია-სამეგრელოს ეპარქიის ხაზინადრად იმუშავა. 1904 წლის 14 ივნისს გადადგა ნოსირის ოლქის კეთილმოწესის პოსტიდან და ხსენებულ ადგილზე კეთილსინდისიერი სამსახურისთვის საეპარქიო მთავრობისგან მადლობა გამოეცხადა. 1904 წლის 30 ოქტომბერს გადადგა გურია-სამეგრელოს ეპარქიის სანთლის ქარხნის მმართველი კომიტეტიდან. 1904 წლის 15 მაისს სამკერდე ოქროს ჯვრით დაჯილდოვდა. 1910 წლის 6 მაისს დეკანოზის წოდება მიენიჭა. დეკ. კლიმენტის დიდი წვლილი მიუძღვის ქ. ფოთში ორკლასიანი სკოლის დაარსების საქმეში, რაც აღინიშნა კიდეც გაზეთ „სახალხო გაზეთში" 1911 წელს. აი, რა ეწერა იქ: **„1911 წლის 25 ოქტომბერს ფოთში აკურთხეს ორკლასიანი საეკლესიო სკოლის ახალი შენობა. სწავლა-განათლების საქმეში ფოთი წინ მიიწევს. ამ თხუთმეტი დღის წინად აკურთხეს სახელოსნო სკოლა, რომელსაც ორი მშვენიერი ქვის შემობა უჭირავს და ეხლა კიდევ ეს საეკლესიო სკოლა... ყოვლადსამღვდელო ლეონიდემ (ოქროპირიძე) დიდძალ დამსწრე საზოგადოებას გრძნობიერი სიტყვით მიმართა და აღნიშნა სწავლა-აღზრდის**

კურსდამთავრებული დეკანოზი კლიმენტი ჭანტურაია. 1890 წ.

მნიშვნელობა, ქალაქის მხურვალე მზრუნველობა ამ საქმეში. განსაკუთრებით ყურადღება მიაქცია მასწავლებელს და სთქვა: ვერცხლის წყალი თერმომეტრში სითბოსაგან აიწევს და სიცივისაგან დაიწევს — სწორედ ამგვარივე ვერცხლის წყალია მასწავლებელი სკოლაში, თუ კი მასწავლებელი გონიერია, თუ ის ენერგიულად და მუყაითად მოეკიდება სწავლის საქმეს, მაშინ სწავლა და სკოლის ღირსება აიწევს, თუ მასწავლებელი უვარგისია, რასაკვირველია სწავლაც დაეცემაო. ამ სკოლაში დროებით ორი მასწავლებელია: ბ. პ. ქუთათელაძე და ქ-ნი ე. კახიძე... არ შეგვიძლია აქვე არ აღვნიშნოთ ის კეთილი სამსახური, რომელიც ამ სკოლისადმი მიუძღვის დეკ. კ. ჭანტურაიას. ყველა ამასთან, სასურველია მესამე მასწავლებელსაც ღირსეულს მოიწვევდნენ, ვინაიდან ასეთები მოგვეპოვება". 1912 წელს გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამრევლო სკოლების სასწავლო საბჭო ახალსენაკიდან ისევ ქ. ფოთში გადავიდა. ახლადგადატანილ საბჭოს თავჯდომარედ კი დეკ. კლიმენტი დაინიშნა.

დეკ. კლიმენტი სხვა პროგრესიულად მოაზროვნე სამღვდელოებასთან ერთად მტკიცედ იცავდა სამეგრელოში ქართული ენის განმტკიცებას და ხელს უშლიდა იმპერიის პოლიტიკას რუსული ენა დაენერგათ საქართველოს ამ უძველეს მხარეში. ამას ამტკიცებს 1912 წელს ქართულ პრესაში გამოქვეყნებული ეს პატარა წერილიც: **„ამას წინათ გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამრევლო სკოლების ზედამხედველმა სინსკიმ რევიზია გაუკეთა „ნახუტურის" სამრევლო სკოლას. ამ სასწავლებელში სწავლა ოთხმოცდაერთი წლის კანონით სწარმოებდა. სინსკიმ წინადადება მისცა მამა კლემენტი ჭანტურაიას, საღვთო სჯული რუსულად ასწავლოს. აგრეთვე ურჩია სხვა მასწავლებლებსაც — რუსულის სწავლება ყოველთვის პირველი სამოსწავლო წლის პირველი სექტემბრიდან შემოიღონ. როგორც ჭანტურაიამ, ისე სხვა მასწავლებლებმაც ცივი უარი უთხრეს მას ასეთი წინადადების შესრულებაზე".** 1914 წლის 3 ნოემბერს ფოთის წმ. ალექსანდრე ნეველის სახ. საკათედრო ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა. 1918 წელს ჭყონდიდის ეპარქიის ფოთის ოლქის კეთილმოწესეა. 1920 წელს როგორც ჭყონდიდის ეპარქიის დელეგატი, ესწრებოდა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის მეორე საეკლესიო კრებას.

1921 წლის 14 ოქტომბერს სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში დეკ. კლიმენტი ესწრებოდა კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის (ხელაია) ინტრონიზაციას და ფოთის „მორწმუნე საზოგადოების" სახელით სიტყვაც წარმოთქვა წირვის შემდეგ და მიულოცა მის უწმინდესობას აღსაყდრების დღე.

1925 წლის 12 ოქტომბერს ჭყონდიდის ეპარქიის აღწერაში, ფოთის ღვთისმშობლის სახ. საკათედრო ტაძრის წინამძღვარია. 1928 წლის 16 ივლისს უკვე წინამძღვრის თანაშემწეა. 1929 წლის შემოდგომაზე ადგილობრივმა ხელისუფლებამ დააპატიმრა დეკ. კლიმენტი. აი, როგორ გადმოგვცემს ამ ამბავს ყოფილი დეკ. ნიკიტა თალაქვაძე თავის მოგონებებში: **„ამას წინეთ გაზეთებში უცნაური ამბავი დაიბეჭდა: ჭყონდიდელმა ეპისკოპოსმა ალექსიმ (გერსამია) ფოთის საკათედრო ტაძრის დეკანოზ კლიმენტი ჭანტურაიას გაუგზავნა რომელიღაც ბერი (ალექსი ჩხეტიანი — გ.მ.) — სალაროში საეკლესიო ნივთებისა თუ განძეულობის შესამწ-**

დეკანოზი კლიმენტი მეუღლესთან ერთად. XX ს-ის 30-იანი წლები

მებლად. გაუღიათ დაკეტილი სალაროს კარები და შიგ სალარო კი სრულიად ცარიელი გამომდგარა, არც ერთი ნივთი იქ აღარ დაუხვდათ! ვიღაცას წაუღიაო! სალარო კი დაკეტილი ყოფილა! დეკ. კლ. ჭანტურაია ბრალს სდებდა ამ ნივთების წაღება-მითვისებაში დეკ. იოანე ბობოხიძეს, ხოლო ეს უკანასკნელი, ასეთსავე ბრალსა სდებდა თვით დეკ. ჭანტურაიას! ორთავენი ამ ჟამად დაპატიმრებული ყოფილან...“ მისი პატიმრობა რამდენიმე თვე გაგრძელდა. ამასთან დაკავშირებით, 1930 წლის 27 მარტს საქართველოს ეკლესიის სინოდის თავმჯდომარე, კათოლიკოს-პატრიარქი ქრისტეფორე (ციცქიშვილი) ჭყონდიდელ ეპ. ალექსის (გერსამია) სწერდა: **„წინადადება მიეცეს ჭყონდიდის ეპარქიის მმართველს მოახდინოს განკარგულება, რომ ფოთის საკათედრო ტაძარში სრულდებოდეს წირვა-ლოცვა რომელიმე მღვდლის მიერ, სანამ განთავისუფლებული იქმნება დეკ. კ. ჭანტურაია. ხოლო ნახუტურის ეკლესიის გახსნის შესახებ შუამდგომლობა აღიძრან მორწმუნეებმა ადგილობრივ აღმასკომში“.**

დეკ. კლიმენტი იყო მთელ დასავლეთ საქართველოში განთქმული ასკეტი მამის, ღირსი ალექსის (შუშანია) სულიერი შვილი. 1923 წლის იანვარში, როდესაც გარდაიცვალა მამა ალექსი, იგი ვერ დაესწრო დასაფლავებას და წერილი გაუგზავნა მონასტერში: **„ძვირფასო დებო მონაზონნო ფავსტო და აკეფსიმა! თქვენი წერილი მივიღე, რომელშიაც ძლიერ ცუდი ამბავი ეწერა: მამა ალექსი გარდაიცვალა, ეს არის უბედურება. ვინ ყავს ეხლა საქართველოს ეკლესიას სულიერად და ხორციელად ალექსის მსგავსი, არავინ. ალექსის ამ ქვეყნიდან გარდასვლა — ჩემთვის დიდი უბედურება არის, რადგან იმისთანა იყო, განა არ ვიცი. ის იყო დიდებული კაცი ჭკუით და გონებით, ის იყო ძვირფასი მთელი სამეგრელოსათვის და მთელი საქართველოსათვის თავის სიტყვით და საქმით, როგორც სასულიერო პირი, კარგი სიტყვისა და კარგის საქმის მქმნელი.**

ის იყო მთელი საქართველოს მოყვარული, მისთვის კარგი უნდოდა სიტყვით და საქმით, მამულის ეკლესიის მოყვარული, ძვირფასი დარაჯი ჩვენი ეკლესიის სიწმინდისა. ვინც მასთან მოვიდოდა, მორწმუნე იყო ის თუ ურწმუნო, მარტო ალექსის შეხედვა კმაროდა მათთვის, რომ ისინი ყოფილიყვნენ მორწმუნენი, მაგრამ როცა ისინი ნახავდნენ ალექსის ცხოვრებას, მის წირვას, მის ქადაგებას, მის სიტყვას სულიერი თუ საამქვეყნო ცხოვრებისათვის, ურწმუნონი გადაიქცეოდნენ მორწმუნედ და მამა ალექსის მადლობას შესწირავდნენ სიტყვის ან საქმისათვის.

რა მდგომარეობაში არიან ეხლა მისნი დებიდედით, მონასტრის მონაზვნები, წინამძღვრები და გარშემო მცხოვრებნი, რა კარგი მამა მოაკლდათ ამქვეყნად.

ძვირფასო დებო ფავსტო და აკეფსიმა, რაფერ გადაიტანთ თქვენ ამ უბედურებას, მამა ალექსის წასვლას ამქვეყნიდან იმ ქვეყანაში, ვაი თქვენი

დეკანოზი კლიმენტი გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამღვდელოების შეკრებაზე. ზის მარცხნიდან მეორე

ცოდვა, ონოფრე მაინც გყავდეთ ალექსის ადგილზედ. ღმერთმა მაცხოვარმა მოგცეს თქვენ ნუგეში და მამა ალექსის იმ ქვეყანაში წმინდათა ძვირფასი ადგილი.

მე უნდა მივსულიყავი გასვენებაზედ, მაგრამ მიზეზი ის არის, რომ ჩემი ცოლი ნამეტანი ავად არის, ეს ერთი კვირე არის მომვლელი მე ვარ, არც მე ვარ კარგად, დავდივარ მაგრამ ავათ ვარ, წამალს ვხმარობ.

გთხოვ ცოტა ადრე შემომითვალოთ ორმოცის დროს, რომ მაშინ მაინც მოვიდე.

მამა ალექსის მონა-მორჩილი, თქვენი ძმა დეკანოზი კლიმენტ ჭანტურაია. იანვრის 27. 1923წ.“

სიცოცხლის უკანასკნელი წლები დეკანოზმა კლიმენტიმ ქ. თბილისში შვილის ოჯახში გაატარა. იგი 1941 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია კუკიის წმ. ნინოს სახ. სასაფლაოზე. ჰყავდა მეუღლე ანასტასია ბესარიონის ასული ნადირაძე (დაბ. 1867წ.) და შვილი — დიმიტრი (დაბ. 1894წ.).

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 489, აღწერა 1, საქმე 48051; საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 1630; საქმე 1973; გაზ. „ივერია“ 1890წ. 119, გვ. 2; Журнал „Духовный вестник Грузинского Экзархата“ 1893წ. 10; 1894წ. 15; 1901წ. 11; 1904წ. 10; 11; 16; 1905წ. 3-4; Журнал „Вестник Грузинского Экзархата“ 1910წ. 6; 1915წ. 3; გაზეთი „სახალხო გაზეთი“ 1911წ. 414, გვ. 2-3; ჟურნალი „შინაური საქმეები“ 1912წ. 14. გვ. 15; 26-27, გვ. 12; გაზ. „იმერეთი“ 1912წ. 69, გვ. 2;

ლიტ: „ილუმენია ფავსტო და სქემმონაზონი აკეფსიმა შუშანიები — წერილები და მოგონებები“ გვ. 34-35; დეკანოზი ნიკიტა თალაქვაძე „მოქალაქე-მღვდლის დღიურიდან“ 2013წ. ქ. თბილისი, გვ. 139; გვ. 550.

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22.
ანგარიში: # GE57LB0115123530407000. სახაზინო კოდი — 45 01 56.
9 772587 506008
რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა: bokuchavanana1@gmail.com.
მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41
რედაქტორის მოადგილე: **ნანა ბოკუჩავა** ტ: 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, დიაკონი გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბუღალტერი: ელასი ჯიბლაძე; გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯულელი

ხატვრო ხელმძღვანელ ნაილი თოფალაშვილსა და რეჟისორებს მანანა კვირკველიასა და მზია მჭედლიშვილს, თეატრის ყოფილ კურატორს, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის პროფესორს, გულიკო მამულაშვილს. „ამაგდარის" საპატიო წოდება მიენიჭა და სანდრო ახმეტელის პრემიით დაჯილდოვდა თეატრის დამაარსებელი ანზორ დოლენჯაშვილი. საღამოზე ბაქოდან სპეციალურად ჩამოვიდა აზერბაიჯანის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე აზერ ფაშა, რომელმაც დახმარება და ბაქოში გასტროლი აღუთქვა თეატრს...

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი გულიკო მამულაშვილი: „დღემდე მომყვება 40 წლის წინანდელი მადლიერება და აღფრთოვანება თეატრალური ინსტიტუტის მაშინდელი სტუდენტების მანანა კვირკველიას, მზია მჭედლიშვილისა და ანზორ დოლენჯაშვილისადმი.

გოლგოთის გზის გავლა მოუნია ანზორს. რა წინააღმდეგობა, შეურაცხყოფა, ცილისწამება არ მიიღო, მაგრამ ყველაფერს იტანდა დიდი მიზნისთვის. დაუვიწყარია მისი სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით გამთბარი პატარა ინგილოების მონაწილეობით დადგმული სპექტაკლები. ცრემლის გარეშე ძნელი იყო სპექტაკლის „ალაზნის იქით" ყურება და ინგილოური დიალექტის მოსმენა.

ეს ყოველივე აღიზიანებდა მავანთ და ანზორზე ზეწოლა კიდევ უფრო მატულობდა. შედეგად 47 წლის ასაკში ანზორს ინსულტი დაემართა, დაკარგა მეტყველების უნარი და სმენა.

ანზორ დოლენჯაშვილი ჩვენი დროის გმირია. მის შემდეგ თეატრში ძველებური შემოქმედებითი ცეცხლი აღარ გიზგიზებს, მინავლდა, მაგრამ სასიხარულო ის არის, რომ 2004 წელს თეატრს სახელმწიფო სტატუსი მიენიჭა, რაც ძალზე მნიშვნელოვანია".

„ლიტერატურული საქართველო", #2

მოამზადა სერგო კერესელიძემ

ისტორიის ფურცელი

არქიმანდრიტი ნიკიფორე (მიქელისშვილი) 1765-1841

არქიმანდრიტი ნიკიფორე მიქელისშვილი, ერისკაცობის სახელი უცნობია 1765 წელს კახეთში, ქ. თელავში მღვდლის ოჯახში დაიბადა. იყო დავით მემკვიდრის სულიერი მოძღვარი, რუსობაში — მიხაილოვი. მამამისი, მღვდელი მიქაელი თელავის ეკლესიის მოძღვარი იყო. ყმაწვილობაში გარეჯის წმ. იოანე ნათლისმცემლის სახ. მამათა მონასტერში მიაბარეს, სადაც ორი წელი დაჰყო. შემდეგ მან სწავლა-განათლება კათოლიკოს ანტონ I-თან (ბაგრატიონი) და დავით რექტორთან მიიღო. თავდაპირველად, თვითონაც იყო თელავის მეფის კარის ეკლესიის მღვდელმსახური. 1796 წლის 24 ივნისს ნინოწმინდელმა მიტროპოლიტმა მიქაელმა (ინასარიძე) დიაკვნად აკურთხა. 1799 წლის 23 აპრილს მიტროპოლიტმა მიქაელმა (ინასარიძე) ბერად აღკვეცა, სახელად ნიკიფორე უწოდა და მღვდლად დაასხა ხელი. 1803 წლის 19 თებერვალს მამა ნიკიფორე მცხეთაში მიეგება დავით მემკვიდრეს, რომელიც რუსეთს მიემგზავრებოდა და თან წაყვანა სთხოვა. დავითი იმავე წლის 20 თებერვალს სწერდა მცხეთიდან პ. ციციანოვს: **„თან მიმყავს აგრეთვე ჩემი მოძღვარი — შიომღვიმის მონასტრის მონაზონი ნიკიფორე — თუ თქვენი სურვილიც იქნება, რასაც მე დიდ წყალობად ჩავთვლი, რადგან ეს მონაზონი მწიგნობარი კაცია და წიგნის კითხვით გაგვართობს ხოლმე ჟამსა უსაქმობისასა".**

იგივე ინფორმაციას გვაწვდის მის შესახებ პლ. იოსელიანიც: **„ესე ათანასე (აქ პლატონს მისი სახელი ეშლება — გ. მ.) იქმნა შემდეგ არქიმანდრიტად; იყო კაცი განსწავლული ანტონისაგან პირველისა კათალიკოსისა; გვარით მიქელისშვილი კახელი. 1802 წელს კვალად შევიდა შიო მღვიმეში ლეკთა შიშითა გაოხრებულსა. 1803 წელს ოდეს მოეგება მემკვიდრესა დავითს ქ. მცხეთას ფებერვლის 19, სთხოვა თანა წარყვეს მას რუსეთსა. მასვე დღესა თანა ჰყვა მას და წარიყვანა რუსეთსა კერძო დაიკონად მომზადებული შიო მღვიმეს ზაქარია იოსელიანი, ბიძაჩემი, გარდაცვალებული ღენერალ-მაიორის ჩინითა 1865 წელსა სანკტ-პეტერბურღსა. თვით ათანასი უკუ მოიქცა მუნით და დასაფლავდა კახეთს".**

პლ. იოსელიანის ეს ცნობა, თითქოს ნიკიფორე შიომღვიმეში 1802 წელს მივიდა და აღიკვეცა, სწორი არ არის. 1801 წელს დავით მემკვიდრე წერილს უგზავნის შიომღვიმის მონასტრის მამებს: **„წმიდანო მამანო არხიმანდრიტო ნიკიფორე, არხიმანდრიტო გამალიელ და მამაო გრიგოლ და წმიდანო მამანო მონასტრისანო. ... თქვენი წიგნი მომივიდა და საჩივარი კახეთის სუდზედ. ჩემი საკუთარის თეთრით ნასყიდი მამული ომეყა წმიდას მონასტერს შევსწირე; წაერთმევინა; ეს ამის მეტი არა არს რა, მხოლოდ ეშმაკის მანქანებაა...",** თუმცა

ტექსტში მისი არქიმანდრიტად მოხსენიება ცოტა უცნაურია, რადგან 1801 წელს იგი ჯერ არ იყო ამ ხარისხში აყვანილი.

1804 წლის თებერვალში მოსკოვში დასახლებულ ილუმენ ნიკიფორეს დავით ბატონიშვილის წარდგინებით სამკერდე ოქროს ჯვრით აჯილდოვებენ. იგი მუშაობდა მოსკოვის ქართულ სტამბაში წიგნების დაბეჭდვაზე. 1805 წელს მოსკოვში დაბეჭდილ „სადღესასწაულოს" აქვს ასეთი წარწერა: **„ფრიადითა შრომითა ილუმენის ნიკიფორე თელავის კარის ეკლესიის მღვდლის მიხეილის ძის მიხაილოვისათა 1805 წ. დაიბეჭდა მოსკოვს"** (ქართული წიგნი, I, 95. გვ. 84). ამ წიგნის ტექსტის ბოლოს მოთავსებულია დიმიტრი ბაგრატიონის ლექსად თქმული წიგნის დაბეჭდვაზე დამაშვრალთა ჩამოთვლა: **„ღვთის შეწევნითა, /ზესთა ზენითა /მოსკოვს შემზადდა სტამბა ქართული, /ქსნის ერისთვისა, /დავითის ძისა,/ ვარლამის ღვაწლით არს გამართული,/ მასთან იონა,/ ვინ არიონა შრომის მდინარე ცენზურობითა, /მიტროპოლიტმა გაშინჯ-გამჭვრიტა /გედეონის ძემ ძველგვარობითა, /ნიკიფორითა, მკითხველ-მსწორითა, /იგულსმოდგინეს საკმარობითა,/ პაიჭაძემან, ვით მესტამბემან,/ ჰმართა ყოვლითა სახმარობითა."** ამ ლექსით ნიკიფორე მკითხველ-მსწორედ მოიხსენიება — ე. ი. ყოფილა კორექტორი.

1806 წელს ილუმენი ნიკიფორე ჩადის პეტერბურგში და საქართველოში დაბრუნების ნებას ითხოვს. მალე იგი საქართველოშია და შიომღვიმის მონასტრის წევრია. 1806 წლის 16 ივლისს იგი ითხოვს შესაფერისი ჯამაგირის დანიშვნას. 1808 წელს კათოლიკოსმა ანტონ II-მ (ბაგრატიონი) არქიმანდრიტის წოდება მიანიჭა. 1812 წელს ბრინჯაოს ჯვარი მიიღო. 1815 წლის 5 მაისს თელავის მთავარეპისკოპოს დოსითეოსის (ფიცხელაური) ლოცვა-კურთხევით ოსეთის სასულიერო კომისიაში ილუმენის შტატში დაინიშნა. იგი სამი წლის მანძილზე იყო ჩრდილოეთ კავკასიაში და წარმართებს ქრისტიანობას უქადაგებდა. 1817 წლის ოქტომბერში გათავისუფლდა ოსეთის სასულიერო კომისიიდან.

არქიმანდრიტი ნიკიფორე აქტიურ მონაწილეობას იღებდა „ოსეთის სასულიერო კომისიის" მუშაობაში. იგი საქართველოს ეგზარქოს თეოფილაქტეს (რუსანოვი) აწვდის ღირებულ ცნობებს შიდა ქართლის მთიანეთის ხეობებში ოსი მოსახლეობის განსახლების, მათი სულადობრივი და კომლობრივი რაოდენობის შესახებ. ეგზარქოსს მამა ნიკიფორესათვის დაუვალებია შიდა ქართლში ოსებით დასახლებულ ხეობებსა და სოფლებში მონათლული და მოუნათლავად დარჩენილი მოსახლეობის აღნუსხვა, კომლებისა და სულადობრივი რაოდენობის ჩვენებით; არქიმანდრიტს უნდა დაედგინა, აგრეთვე, თუ რომელ თავადს ან აზნაურს ეკუთვნოდა აღნუსხული ხეობისა და სოფლის მოსახლეობა. დავალება ითვალისწინებდა, რომ ის ყოველგვარი გახმაურების გარეშე შესრულებულიყო. ამასთან ეგზარქოსი ითხოვდა სამუშაოს შესრულების დროს ყველა შესაძლო ხერხით, უსაფრთხოების უზრუნველყოფას. აღწერა სრულად უნდა ჩატარებულიყო ოსებით დასახლებულ ხეობებში, აგრეთვე ახლომდებარე მეზობელ სოფლებში, სადაც „ოსეთის სასულიერო კომისია" წინა წლებში თელავის მთავარეპისკოპოს დოსითეოსის (ფიცხელაური) ხელმძღვანელობის დროს, 12 ეკლესიის მშენებლობას გეგმავდა.

ქართლ-კახეთის გამგე დავით ბატონიშვილი

1817 წლის დეკემბერში არქიმანდრიტმა ნიკიფორემ შეადგენა და ეგზარქოს გაუგზავნა პირველი მოხსენებითი ბარათი. იგი აღწერდა ახლად მონათლული ოსებით დასახლებული კავკასიის მთების 8 ხეობის სოფლებს. ეს იყო ჩატარებული სამუშაოს ნაწილი. დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ზამთრის დიდთოვლობის გამო არქიმანდრიტი ნიკიფორე იძულებული გახდა შიდა ქართლის მთიანეთში აღწერა შეეწყვიტა.

1818 წლის 16 მარტით თარიღდება მეორე დოკუმენტი, რომლის მიხედვით ჩანს, რომ არქიმანდრიტ ნიკიფორეს გაუგრძელებია ეგზარქოსის დავალების შესრულება; აღუწერია დამატებით კიდევ 11 ხეობაში მდებარე სოფლების მოსახლეობა კომლებისა

შუამთის მონასტერი

და სულადობის მიხედვით და წარმოუდგენია, როგორც თავად აღნიშნავს „ყოველნივე უნაკლულოდ სრულებით აღწერილნი, ესრეთ ვითარცა ზემორე რვათა ხეობათა“, ე. ი. აღუწერია სრულად და უნაკლოდ, ადრე აღწერილი 8 ხეობის მსგავსად. ამჯერად, არქიმანდრიტი ნიკიფორე ანგარიშზე ხელს აწერს, როგორც „ოსეთის სასულიერო კომისიის მქადაგებელყოფილი“.

1818 წელს ქართლის ყოფილი ეპარქიების: რუისის, ურბნისისა და ნიქოზის საეკლესიო მამულების მმართველად დაინიშნა. 1819 წლის 1 თებერვალს წმ. ანას III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. 1818 წელს არქიმანდრიტი ნიკიფორე იყო იმ კომისიის წევრი, რომელსაც დაევალა აღმოსავლეთ საქართველოში საეკლესიო შტატების განაწილება და კამერალური აღწერის ჩატარება.

XIX ს-ის 20-იან წლებში არქიმანდრიტი ნიკიფორე სთხოვს იონა ეგზარქოსს (საქართველოს განაგებდა 1821-1832 წლებში) უვადო ბილეთს პეტერბურგს წასასვლელად — **„მირიან ირაკლის ძე მიბარებს და ჩემი ძმისწული სოლომონ მიხაილოვი მინდა თან წავიყვანო“.**

1822 წელს არქიმანდრიტი ნიკიფორე გათავისუფლდა ქართლის საეკლესიო მამულების მართვა-გამგეობიდან და თელავის მაზრაში, სოფ. გულგულაში დასახლდა.

1824 წლის 27 მარტს შუამთის მონასტრის საეკლესიო მამულების მმართველად დაადგინეს და იმავე მონასტრის უშტატო წევრად მიიღეს. 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიას მღვდელ-მონაზონი ფილადელფოსი (კიკნაძე) უჩვენებს, რომ ნიკიფორე არის „შუამთის მონასტრის ყმა-მამულის განმგებელი არქიმანდრიტი“. არქიმანდრიტი ნიკიფორე (მიქელიშვილი) იყო შუამთის მონასტრის შტატგარეშე წევრი, წინამძღვარი ამ დროს იყო არქიმანდრიტი სოფრომი (ერისთავი). 1835 წლის 9 ივლისს გათავისუფლდა შუამთის მონასტრის საეკლესიო მამულების მმართველის პოსტიდან. იმ პერიოდში იგი საეკლესიო შემოსავლებიდან იღებდა ჯამაგირს წელიწადში 80 მანეთს.

არქიმანდრიტი ნიკიფორე 1841 წლის 3 ოქტომბერს გარდაიცვალა. მანამდე, 1841 წლის 5 აპრილს მან თავისი ქონება და კუთვნილი ნივთები: ღვთისმშობლის გამოსახულებიანი ხის ხატი, მიტრა და საარქიმანდრიტო ჯვარი, ეპიტრახილი, საგვერდული, ენქერი, ანაფორა და სხვ. ნივთები შუამთის მონასტერს შესწირა.

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 488, აღწერა 1, საქმე 264; საქმე 3823; საქმე 7669; საქმე 7020; ფ. 489, აღწერა 1, საქმე 7434.

ლიტ: ჟორდანია თ. „ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და „ძეგლი“ ვაჰხანის ქვაბთა“ ქ. თბილისი, 1896წ. გვ. 84; იოსელიანი პლ. „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“ ქ. თბილისი, 1978წ., გვ. 156; ბერძნიშვილი მაქსიმე „მასალები XVIII-XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის“. ქ. თბილისი, 1980წ., ტ. II, გვ. 106-107.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი. ჩვენი ტელეფონებია: 593 19 36 04; 599 88 66 90; 2 32 48 66; 2 98 95 41

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22.
ანგარიში: № GE57LB0115123530407000. სახაზინო კოდი — 45 01 56.
9 772587 506008
რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა: bokuchavanana1@gmail.com.
მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41
რედაქტორის მოადგილე: **ნანა ბოკუჩავა** ტ: 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, დიაკონი გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბუღალტერი: ელასი ჯიბლაძე; გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი

ისტორიის ფურცელი

მღვდელი ანტონ გოლეთიანი

„ჩვენს ცოდვილ დროშიდაც მოხდება სასწაული ლოცვით და ჭეშმარიტი სარწმუნოებით და სასოებით“

1854-1917

ჩვენი გაზეთის საშუალებით რამდენჯერმე მოგითხრეთ იმ სასულიერო პირთა შესახებ, რომელთა წინაპრები საუკუნეების განმავლობაში ერთგულად და თავდადებით ემსახურებოდნენ დედაეკლესიას. ამჯერად, კიდევ ერთი ასეთი ოჯახი გვინდა გაგაცნოთ, რომელთა გვარიდან რამდენიმე ღირსეული სასულიერო პირი აღიზარდა ეკლესიის წიაღში. გოლეთიანების ეს გვარი ლეჩხუმიდან, სოფ. ნაკურალეშიდან მომდინარეობს. მათ თავიანთი მსახურებითა და მოღვაწეობით მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირეს ქართულ საეკლესიო ისტორიაში.

მღვდელი ანტონ პავლეს ძე გოლეთიანი 1854 წლის 17 იანვარს ქუთაისის გუბერნიაში, ლეჩხუმის მაზრაში, სოფ. ნაკურალეში მღვდლის ოჯახში დაიბადა (მამა პავლე, პაპა დავითი, პაპის მამა ათანასე და ათანასეს მამა გიორგი ასევე მღვდლები იყვნენ).

ათანასეს და გიორგის შესახებ დეტალური ინფორმაცია არ მოგვეპოვება, ვიცით, რომ ისინი XVIII ს-ში მოღვაწეობდნენ და იმ დროს საქართველოში სასულიერო პირთა ბიოგრაფიები არ იწერებოდა. პირველი მონაცემები მოგვეპოვება **მღვდელ დავით ათანასეს ძე გოლეთიანზე,** რომელიც 1773 წელს დაიბადა. ჰყავდა დედმამიშვილები: მღვდელი მათე, მღვდელი გიორგი და ერისკაცი — იოანე. მან ქართულ ენაზე საეკლესიო წერილი მონასტერში ისწავლა. XVIII ს-ის 90-იანი წლების დასაწყისში ცაგერელმა მიტროპოლიტმა სოფრონმა (ღოღობერიძე) დიაკვნად აკურთხა. XVIII ს-ის 90-იანი წლების ბოლოს ხინოწმინდელმა მთავარეპისკოპოსმა იოანემ (წუწუნავა) მღვდლად დაასხა ხელი და ნაკურალეშის წმ. გიორგის სახ. ტაძარში განამწესა. ჰყავდა შვილები: მღვდელი ანდრია (1795-1854წწ.) და მღვდელი პავლე (1819-1890წწ.).

მღვდელი პავლე 1819 წელს დაიბადა. მანაც ქართულ ენაზე საღვთო და საეკლესიო წიგნების კითხვა, წერა, გალობა და საეკლესიო ტიბიკონი ცაგერის მონასტერში ილუმენ ბასილთან (ასათიანი) ისწავლა. 1847 წლის 12 იანვარს (მეორე ვერსიით — 20 სექტემბერს) სამეგრელოს ეპისკოპოსმა ანტონმა (დადიანი) დიაკვნად აკურთხა და ნაკურალეშის წმ. გიორგის სახ. ტაძარში განამწესა. 1850 წლის 15 ივნისს მღვდლად დაასხა ხელი და იმავე ტაძარში დაადგინა. 1864 წლის 1 აგვისტოს (მეორე ვერსიით — 1862 წელს) ნასპერის ღვთისმშობლის შობის სახ. ტაძარში დაინიშნა. ჰქონდა ჯილდო — ყირიმის ომის (1853-1856) სამახსოვრო წმ. ვლადიმერის ლენტიანი ბრინჯაოს ჯვარი. 1879 წლის 13 მარტს წითელი ჯვრის საზოგადოების სამახსოვრო ჯვარი მიიღო. მღვდელი პავლე 1890 წლის 27 ოქტომბერს გარდაიცვალა. მეუღლე თათია ბეჟანის ასული კოპალიანი (დაბ. 1833წ.) და შვილები: მაკრინა (დაბ. 1848წ, გათხოვილი ილია/ისმაილ სულაქველიძეზე) და **მღვდელი ანტონი (დაბ. 1852წ.).**

ანტონმა 1876 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარიის სამი კლასი. 1877-1880 წლებში სოფლის ერთკლასიან სამინისტრო სკოლაში (სად არ ჩანს) პედაგოგად მუშაობდა. 1880-1885 წლებში საფოსტო უწყების, კასპიისპირეთის ოლქის საფოსტო უწყების ახალტეკინის საექსპედიციო ჯგუფში საველე ფოსტალიონად მუშაობდა. კეთილსინდისიერი სამსახურისთვის დაჯილდოებული იყო ვერცხლის მედლით „ერთგულებისათვის“ წმ. სტანისლავის ლენტზე. 1884 წლის 9 დეკემბერს, ავადმყო-



მამა ანტონის ნაძონი ჯვარი

ფობის მიზეზით, სახლში დაბრუნდა შვებულებით და გამოჯანმრთელების შემდეგ აღარ ჩავიდა სამსახურში, რის გამოც გაათავისუფლეს. 1886 წლის 1 ოქტომბერიდან გურია-სამეგრელოს ეპარქიის კანცელარიის თანამშრომელია. 1886 წლის 20 დეკემბერს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგოლმა (დადიანი) დიაკვნად აკურთხა, იმავე წლის 25 დეკემბერს მღვდლად დაასხა ხელი და ოფიტარის წმ. გიორგის სახ. ტაძარში განამწესა. 1888 წლის 1 აპრილს ცაგერის ოლქის სასულიერო გამომძიებლად დაინიშნა. მისი მცდელობით და ლაჩეპიტის მიწერილი ეკლესიის მრევლის სურვილით ლაჩეპიტის ეკლესია გადაიტანეს უფრო მოხერხებულ ადგილზე და აიგო ახალი სამრეკლო, რომელიც 1891 წელს აკურთხეს. ასევე, დიდი წვლილი მიუძღვის ოფიტარის ახალი ეკლესიის აგებაში, რომელიც 1893 წელს აკურთხეს და იმავე ეკლესიასთან არსებული საეკლესიო სამრევლო სკოლის აგებაში. დიდია მისი დამსახურება ორივე ეკლესიისა და სკოლისათვის საჭირო ნივთების შეძენაში. 1894 წლის 21 თებერვალს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1899 წლის 9 ივლისს სკუფია უბოძეს. 1900 წლის 13 ივნისს ნასპერის ღვთისმშობლის შობის სახ. ტაძარში გადაიყვანეს.

1900 წლის მარტში გარდაიცვალა მღვდელ ანტონის ბიძაშვილი, კიბაბეულის ღვთისმშობლის შობის სახ. ტაძრის წინამძღვარი, მღვდელი დიონისე გოლეთიანი. იმხნად ლეჩხუმში გავრცელებული „დატირების" რიტუალი მეტად წარმართული იყო, ისევე როგორც საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეებში. იგი გადაჭარბებულ გლოვად გადაიქცეოდა და აურაცხელ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. სამღვდელოება თავგამოდებით ებრძოდა ამ ნაკლს, მაგრამ ამ ჩვეულებას ისე ღრმად ჰქონდა გადგმული ფესვები ხალხში, რომ ხშირად თავად ადგილობრივი სამღვდელოებაც ვერ უვლიდა გვერდს ამ მოვლენას. ამასთან დაკავშირებით მოძღვრის წლისთავზე მღვდელმა ანტონმა წერილი გამოაქვეყნა გაზეთ „მწყემსში, სადაც წერდა: **„განსვენებული ყოვლადსამღვდელო გაბრიელი რამდენს უსიამოვნებას და საყვედურს აცხადებდა სამღვდელოებას თვალთ-მაქცური, უსარგებლო და დამაზარალებელ — მიცვალებულთა გამოტირილის შესახებ, მაგრამ ამ სამწუხარო მოვლენას დღესაც ღრმად აქვს მოკიდებული ფესვი. განა შეუძლია გონიერს და გულშემატკივარ კაცს გულგრილად უცქიროს შემდეგ სურათს: აგერ მიცვალებული ასვენია, სახლი სავსეა ხალხით. რომელთაგან უმეტესი იცინის, ხუმრობს და მუსაიფობს. უცებ კიდებენ ხელს კაცს, რომელიც აგერ ხუმრობდა, ეს კაცი უეცრად სახეს იჭმუხნის, იჭყანება და ზარის სიმღერის ხმას აყოლებს რაღაც უმგვანო სიტყვებს. ჭირისუფალსაც მოწყენილი აქვს ერთი კვირის განმავლობაში სულ ერთი და იგივე სიტყვების განმეორება, მაგრამ რა ჰქნას, მომტირალთ უნდა დახვდეს და შეატიროს ფორმისაებრ! რაიცა შეეხება უსარგებლო ხარჯებს და აუარებელ კაცის ცდენას და სხვ. ეს ხომ აშკარაა და ყველამ იცის. ბევრი რამ დაბეჭდილა ამის შესახებ ჩვენს ხალხისთვის გულშემატკივარ ორგანოს „მწყემსის" ფურცლებზე, რომ მოსპობილიყო ესრეთი საზიზღარი და უსარგებლო ჩვეულება, მაგრამ არ იქნა და არა. დღეს მადლობა ღმერთს, გაჩნდა ისეთი კაცი, რომელმანცა მისცა დაბოლოება და დასრულება ამ მავნე ჩვეულებას. დღეს, როგორც ეტყობა სწორედ ბოლო ეღება ამ მავნე და უსარგებლო ჩვეულებას. ყველგან გვესმის: „მართლა მოუსპიათ ტირილი? ვაი ჩვენი ცოდვა, რავა ჯირკივით ჩაგვდებენ მიწაშიო" და ზოგი კი ნიშნისგებით ამბობს: „მის მეტი სამჯავრო ნუ მომცეს ღმერთმაო!". ამის მეტს მგონი არც შარშანწინ იტყოდენ რამეს ამაზე, და უკეთუ ჩვენ — სამღვდელოება თანამგრძნობელნი ვიქნებით ამ ბრძანებისა, პირველში ჩვენი ვალია გავტყდეთ და ვაჩვენოთ მაგალითი მრევლს, როგორი მაგალითიც გვიჩვენა ახალმა მღვდელმა მ. ანდრია გოლეთიანმა. წარსულ მარტის თვეში გარდაიცვალა სოფ. ნაკურალეშს (ლეჩხუმში) უეცარის სიკვდილით მღვდელი მ. დიანოზ გოლეთიანი. განსვენებულს დარჩა შვილი ზემოხსენებული მღვდელი ანდრია გოლეთიანი, რომელიც ჩავარდა ფიქრში და რყევაში, თუ რა წესით დაესაფლავებია მამა. ახალი ბრძანების აღუსრულებლობისაც ეშინოდა და წინანდელი წესის დარღვევაზედ სოფლის და მტერმოყვრისაც რცხვენოდა; ასე რომ ორივე შემთხვევაში, ესე იგი, ძველი ჩვეულების დარღვევაში და ახალის მიღებაში პირველი მაგალითი ის იქნებოდა. ბოლოს სოფლის საყვედური ამჯობინა და მესამე დღეს მოუწოდა მახლობელ მეზობლებს, ნათესავებს და რამოდენიმე მღვდელს, გაასვენეს მიცვალებული ეკლესიაში, წირვის შემდეგ წესი აუგეს და დაასაფლავეს. შემდეგ მოსამარხეებს, გამსვენებლებს, გულითადს მომტირალ-ნათესავებს და მღვდლებს სადილი მიართვეს და აი, ამნაირად შესრულდა ის საქმე, თვინიერ დიდი ხარჯისა. სოფელმა ბევრი უსაყვედურა მამა ანდრიას, რად არ გვატირე მამა შენიო, შენდობას შეუთვლიდით და ღვინოს თავს წაუსხამდითო!... ასე ადვილად და წესიერად შესრულდა ყველაფერი. საუკუნოდ იყოს ხსენება ჩვენი თანაძმის მღვდლის დიანოზ გოლეთიანისა, რომელიც ეღირსა ჭეშმარიტს ქრისტიანულს განსვენებას და დასაფლავებას. დასასრულ, ღმერთმან ადღეგრძელოს და აკურთხოს გონიერი მმართველობა იმერეთის ეპარქიისა — ჩვენი ახალი მწყემსმთავრისა, რო-**

მელმაც პირველადვე მიაქცია ყურადღება ამ უწესო ჩვეულების მოსპობას, რომლის აღსრულებით არა თუ სუსტდება მარტო ზნეობა და სარწმუნოება, არამედ იქცევა, ღარიბდება და იღუპება ოჯახები აუარებელი უსარგებლო ხარჯებისაგან".

1902 წლის 25 თებერვლიდან მღვდელი ანტონი ცაგერის ოლქის სამღვდელოების სულიერი მოძღვარია. 1904 წლის 14 მაისს კამილავკა ეწყალობა. 1904 წლის 16 სექტემბერს პენსიაზე გავიდა. შთამომავლების გადმოცემით, მღვდელი ანტონი 1917 წელს გარდაიცვალა.

გარდა სასულიერო მოღვაწეობისა მღვდელი ანტონ გოლეთიანი აქტიურად თანამშრომლობდა იმდროინდელ პრესაში, „მწყემსში", „შინაურ საქმეებში". 1899 წელს აქვს დაწერილი სტატია „ხვამლის მთაზე აღსრულებულ სასწაულზე, რომელიც იქ მის თვალწინ წმ. გიორგის ხატის წინ აღესრულა". აი, რას წერდა იგი: **„წელს დიდი წვიმები არ ყოფილა ჩვენკენ და ამიტომ არც მიწა გამბალა საკმაოდ, ხოლო ივნისიდგან ვიდრე 27 ივლისამდე არა თუ წვიმით არ გამაძღარა მიწა, ცვარიც კი არ ყოფილა, რადგან ღამე ცა ღრუბლით იხურებოდა და დღე ძლიერი სიცხეები სწვავდა. ბალახი გახმა, წყლები ალაგ-ალაგ დაშრა, კაცი და საქონელი შეწუხდა აუტანელი სიცხისგან. ხალხი შეაწუხა შიმშილის მოლოდინმა. ეკლესიებიდან ხატებს ასვენებდენ მდინარე წყლებზედ დასაბანათ ლიტანიით. მაგრამ არ შეიქმნა საშველი. ბოლოს 27 კვირიკობისთვეს სოფელს ოყურეშიდან წაასვენეს ხვამლის მთაზედ ორი დიდი და დიდებული წმინდის გიორგის ხატი. ეს ორი ხატი შესანიშნავია მთელს მაზრაში თავის სიდიადით, დიდებული მორთულობით, სიძველით და სასწაულმოქმედობით. ხალხის მოთხრობით ეს ორი ხატი ძველ დროში დასვენებული ყოფილა ხვამლზედ, სადაც ყოფილა ეკლესია და ბერების მოსახლეობა. წერილობით თუმცა ამაზედ არა სჩანს რა, მაგრამ ხვამლზედ ახლაც სჩანს და ატყვია ძველი ნაეკლესიები, ტრაპეზი, შენობის ნანგრევები სულ თლილი საპატიო ქვებისაგან, გალავანი, ბერების სენაკების ნაშთები და სხვ. ეხლა დაუბრუნდეთ ლიტანიობას. 27 კვირიკობისთვეს შუადღეს პაპანაქება სიცხეში გავემგზავრეთ ოყურეშის ეკლესიიდან ხვამლისკენ ასიოდე კაცი და ქალი, ხატებს მიასვენებდა ოთხ-ოთხი კაცი ჯალავრით. ლიტანიას წინ მიუძღოდენ განუწყვეტელი ბუკის კვრით და ზარების რეკა დიდხანს არ შეწყვეტილა. ხალ-**

ფეხზე დგას მღვდელი კალისტრატე გაბიანი.
ზის - მღვდელი ანტონ გოლეთიანი

ხი ფეხშიშველა მიჰყვებოდა სასწაულთმოქმედს ხატს და ცრემლით შესტიროდა თავის გაჭირვებას. ხატები დავასვენეთ ნატრაპეზალზედ, აუნთეთ სანთლები და დაჩოქილებმა გარდავიხადეთ სამადლობელი პარაკლისი და აი, ცხოველი სასწაული! ისმინა უფალმან ვედრება ჩვენი: „რათა უბრძანოს ღრუბელთა ცისათა მოცემად წვიმა... გაჩნდა ნისლი მთის გარშემო, დაგვიახლოვდა და გარს შემოგვერტყა. ამას მოჰყვა ცივი ქარი, გასქელდა ნისლი და აიწია თანდათან მაღლა, შეიქმნა ქუხილი, ელვა და ბოლოს ნელი წვიმა. ჩვენს სიხარულს და მადლობას წმინდა გიორგისადმი აღარ ჰქონდა საზღვარი. ჩემს დღეში ასე ცხოველი სასწაული არ მინახავს და ახლა კი მჯერა, რომ ჩვენს ცოდვილ დროშიდაც მოხდება სასწაული ლოცვით და ჭეშმარიტი სარწმუნოებით და სასოებით. იმ ღამეს ხალხმა თავი შეაფარა ახლო მდებარე გამოქვაბულებს და კლდის ნაპრალებს. მეორე დილით კვლავ გარდავიხადეთ მუხლმოყრით სამად-

ლობელი პარაკლისი და გულდამშვიდებული დავბრუნდით სოფელში წმინდა ხატებით. იმ დღიდან გაიხსნა ცა და იწვიმა საკმაოდ. ღმერთო, უშველე გაჭირვებულს მდაბიო ხალხს, რომელსაც ყოველს ჭირსა და ლხინშიდ აქვს ერთადერთი უტყუარი იარაღი — სარწმუნოება, სასოება და მხურვალე ვედრება".



მღვდელი ანტონი გოლეთიანი

სამწუხაროდ, 1910 წელს ეს წმინდა ხატები გაიძარცვა, რასაც გაზეთ „შინაურ საქმეებში" მოჰყვა მამა ანტონის სტატია, სადაც იგი გულისტკივილით აღნიშნავდა იმ უკულმართობასა და ზნედაცემულობას, რომ ადგილობრივმა ახალგაზრდებმა გაბედეს და გაძარცვეს ეს ისტორიული ხატი, რომელიც სასწაულთმოქმედად მიიჩნეოდა. აი, რას წერდა იგი: **„ვაი ჩვენი ბრალი, რა დროს მოვესწარით! უმჯობესი იყო ოცი-ოცდაათის წლის წინეთ მეორეთ მოსვლას ან წარღვნას დავსწრებოდით. თანდათანობით გავარჯიშებულმა უკულმართობამ ასე შეგვიჩვია, რომ ქვეყანა რომ დაიქცეს სიცილ-ხუმრობას დავიწყებთ. გასაოცარი ამბავი მაქვს სათქმელად, მაგრამ სულის და გულის მღელვარებით სიტყვა ვერ მომიფიქრნია დასაწყებად...".** მძარცველები კი დააპატიმრეს, მაგრამ ჯერჯერობით ნაძარცვი ნივთები არ ჩანსო. დასასრულ იგი სწერდა: **„ამ ამბის გამო ოყურეშის ეკლესიაში წირვა-ლოცვა აღარ სრულდება. მრევლი მგლოვიარეთ დასტირის თავზედ გაძარცვულ ხატებსო".**

მღვდელი ანტონ გოლეთიანის შვილიშვილის ბატონ ანტონ გოლეთიანის ოჯახში დაცულია მის მიერ შედგენილი დაახლოებით 300-გვერდიანი უცხო სიტყვათა რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ლექსიკონის ხელნაწერი. მამა ანტონს ჰყავდა მეუღლე ქსენია პეტრე მღვდლის ასული დავითულიანი (დაბ. 1868წ.) და შვილები: ბენიამენი (დაბ. 1886წ., პროფესიით პროვიზორი), იულია (22.09.1889-1960წწ.), თეოფილე (დაბ. 20.09.1891წ., გარდაიცვალა „ისპანკით"), ვარლაამი (დაბ. 20.08.1895წ., პროფესიით პროვიზორი), პლატონი (დაბ. 29.07.1898წ., პედაგოგი), იოაკიმე (დაბ. 1900წ., გარდაიცვალა „ისპანკით"), დომენტი (დაბ. 9.11.1903წ., ფარმაცევტი), სერაპიონი (გარდაიცვალა „ისპანკით").

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 488, აღწერა 1, საქმე 812; ფ. 489, აღწერა 1, საქმე 42061; საქმე 49342; საქმე 57598; ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფ. 21, აღწერა 1, საქმე 21061; Журнал „Духовный вестник Грузинского Экзархата" 1892წ. 9; 1899წ. 16; 1904წ. 10; ჟურნალი „მწყემსი" 1900წ. 15-16, გვ. 13-14; 1901წ. 8, გვ. 11-12; ჟურნალი „შინაური საქმეები" 1910წ. 4, გვ. 15-16.

ლიტ: კეზევაძე მ. „ეგზარქოსობისდროინდელი ლეჩხუმისა და სვანეთის ეკლესიები და მღვდლები", ქ. ქუთაისი, 2007წ. გვ. 21-22.

ფოტოების მოწოდებისათვის მადლობას მოვახსენებთ მღვდელ ანტონის შთამომავლებს: ბატონ ანტონ და თემო გოლეთიანებს, ხოლო საარქივო მასალების მოწოდებისათვის ქუთაისის ცენტრალური არქივის დირექტორს, ბატონ მერაბ კეზევაძეს.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 593 19 36 04; 599 88 66 90; 2 32 48 66; 2 98 95 41

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი: LBRTGE22.
ანგარიში: № GE57LB0115123530407000. სახაზინო კოდი — 45 01 56.
9 772587 506008
რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა: bokuchavanana1@gmail.com.
მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41
რედაქტორის მოადგილე: **ნანა ბოკუჩავა** ტ: 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაძვილი, თამარ ასათიანი, დიაკონი გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბუღალტერი: ვლასი ჯიბლაძე; გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კეკანტრაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯულელი

უცხოეთის ქრონიკა

საბერძნეთის ეკლესია კორონავირუსის შესახებ

2020 წლის 9 მარტს გაიმართა საბერძნეთის ეკლესიის მუდმივმოქმედი წმინდა სინოდის სხდომა. წმინდა სინოდმა, სხვა საკითხებთან ერთად, იმსჯელა კორონავირუსის შესახებაც და განაჩინა:

1. ყველამ გავაძლიეროთ ლოცვები ხრწნილებისა და სიკვდილის მძლეველი უფლის, იესო ქრისტეს მიმართ, რათა ჯანსაღად და სიმრთელით დაიცვას თავისი ერი. ამავე მიზნით ეთხოვოს ყოვლადუსამღვდელოეს მიტროპოლიტებს, რათა თავიანთ ღვთისმსახურებს მისცენ რეკომენდაცია, დიდმარხვის მეორე კვირას (15.03.2920) საღვთო ლიტურგიის განტევებამდე შესრულდეს კვერექსი ვირუსის გავრცელების შესაჩერებლად.

2. მიღებულ იქნეს ყველა აუცილებელი ზომა, როგორც ამას სახელმწიფო უწყებათა შესაბამისი ორგანოები მიუთითებენ, რათა თავიდან ავიცილოთ ვირუსის გავრცელება. კერძოდ:

* ხელების რეგულარული დაბანა საპნით;
* ანტისეპტიკურ საშუალებათა გამოყენება;
* დისტანციის დაცვა იმ ადამიანებთან ურთიერთობისას, რომლებიც ვირუსისთვის დამახასიათებელ ნიშნებს ავლენენ;
* ტაძრებისა და სხვა საეკლესიო ნაგებობების განიავება და საგულდაგულოდ დასუფთავება;
* ვირუსისათვის დამახასიათებელი ნიშნების მქონე ადამიანებსა და ჯანმრთელობის მხრივ ადვილად მოწყვლად ჯგუფებს (შაქრიანი დიაბეტით დაავადებულნი, სასუნთქ და გულსისხლძარღვთა სისტემის პრობლემების მქონენი) ეძლევათ რეკომენდაცია, არ გავიდნენ საცხოვრებელი სახლებიდან, თუ ეს გადაუდებელ საჭიროებას არ წარმოადგენს, მოერიდონ მასობრივი თავშეყრის ადგილებს, კოცნასა და ჩახუტებას, რათა დაიცვან როგორც საკუთარი, ასევე სხვათა ჯანმრთელობა.

(წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით ეს რეკომენდაციები წერილობითი სახით, ტაძრების კედლებზეც გაიკვრება)

3. ეკლესიის წევრებისთვის საერთო ბარძიმიდან ზიარება არ შეიძლება გახდეს დაავადების გადადების მიზეზი. მორწმუნეებმა ყველა ეპოქაში, მათ შორის, პანდემიების დროსაც იცოდნენ, რომ საღვთო ზიარების მიღება, ერთი მხრივ, არის ცოცხალი ღვთისთვის საკუთარი თავის მინდობის პრაქტიკული, ხოლო, მეორე მხრივ, სიყვარულის გამოხატულება, იმ სიყვარულისა, რომელიც სძლევს ყველანაირ ადამიანურ, თუნდაც სამართლიან შიშს (1 იოანე 4.18). ეკლესიის წევრებმა იციან, რომ ზიარება, ესე იგი ურთიერთობა, არის სიყვარულისა და თავისუფლების ნაყოფი, რომელიც თავისუფალია ეჭვებისა და შიშისაგან.

წყარო: https://www.protothema.gr/.../iera-sunodos-gia-koronoio-koi.../...

მართლმადიდებლური სიახლეები / Orthodox news

ისტორიის ფურცელი

არქიმანდრიტი დომენტი (გიორგაძე) 1884-1959

არქიმანდრიტი დომენტი, ერისკაცობაში — დავით მიხეილის ძე გიორგაძე 1884 წლის 15 აგვისტოს ქუთაისის გუბერნიაში, ქუთაისის მაზრაში, სოფ. სიმონეთში გლეხის ოჯახში დაიბადა. წერა-კითხა და პირველდაწყებითი განათლება სოფ. სიმონეთის სასოფლო სკოლაში მიიღო. საღმრთო წერილი, გალობა და საეკლესიო ტიბიკონი ჯრუჭის წმ. გიორგის სახ. მონასტერში ისწავლა. 1901 წლის 3 სექტემბერს იმავე მონასტერში მორჩილად განამწესეს. 1902 წლის 25 ოქტომბერს ჭელიშის ღვთისმშობლის მიძინების სახ. მონასტერში გადაიყვანეს. 1904 წლის 5 დეკემბერს გელათის ღვთისმშობლის შობის სახ. მონასტერში დაინიშნა. 1906 წლის 19 აგვისტოს საქარის წმ. გიორგის სახ. ტაძრის მედავითნედ დაადგინეს. 1907 წლის 16 აპრილს გათავისუფლდა იქიდან. 1908 წლის 20 აგვისტოს ისევ ჯრუჭის მონასტერში მივიდა, რა დროსაც საბოლოოდ მიიღო გადაწყვეტილება ბერად შედგომაზე. 1909 წლის მარტში მონასტრის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა გრიგოლმა (ჩხაიძე) ბერად აღკვეცა და სახელად დომენტი უწოდა. 1909 წლის 31 მაისს იმერეთის ეპისკოპოსმა გიორგიმ (ალადაშვილი) დიაკვნად აკურთხა. 1911 წლის 2 ნოემბერს აღმოსავლეთ საქართველოში გადავიდა და თბილისის მაცხოვრის ფერისცვალების სახ. მონასტრის საძმოში მიიღეს. 1912 წლის 29 ივნისს გორის ეპისკოპოსმა ანტონმა (გიორგაძე) მღვდლად დაასხა ხელი. 1912 წლის 2 ნოემბერს იმავე მონასტრის ეკონომოსად დაადგინეს. 1915 წლის 28 მაისიდან ქვათახევის ღვთისმშობლის მიძინების სახ. მონასტრის საძმოშია. 1916 წლის 12 იანვარს იმერეთის ეპისკოპოს გიორგის ლოცვა-კურთხევით, ჯრუჭის წმ. გიორგის სახ. მონასტერში გადაიყვანეს. 1917 წლის 29 ნოემბერს გელათის მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი ნიკოლოზი (ნამორაძე) ქუთათელ მიტროპოლიტ ანტონს (გიორგაძე) სწერდა: „გე-

ლათის მონასტერში სამღვდელმსახურებო წიგნების მკითხველი ერთის მეტი არ არის და ამ მხრივ გაჭირვებაში იმყოფებიან მამები, რომელთაც სხვა შრომასთან წიგნის კითხვაც უხდებათ და მოხუცებულობისა გამო ამ სიძნელეს ადვილად ვერ იხდიან. მონასტერში არის ადგილი იეროდიაკონისა. მოგახსენებთ რა ამას, უმორჩილესად ვთხოვ თქვენს მეუფებას გაამწესოთ ამ ადგილზედ ჯრუჭის მონასტრის მღვდელ-მონაზონი დომენტი, რათა რომ როდესაც წირვის რიგში არ იდგება, ხანდიხან წაეხმაროს წიგნის მკითხველსა და ამით შემსუბუქება მისცეს მოხუცებულ ბერებს". იმავე დღეს მიტროპოლიტმა ანტონმა დააკმაყოფილა ეს თხოვნა და მღვდელ-მონაზონი დომენტი გელათის მონასტერში ბერ-დიაკვნის შტატში დაინიშნა. 1918 წლის 28 მარტს ქუთათელმა მიტროპოლიტმა ანტონმა (გიორგაძე) მღვდელ-მონაზონი დომენტი ჭელიშის მონასტრის წინამძღვრად დანიშნა და ოქროს ჯვარი უბოძა. ამასთან დაკავშირებით, გაზეთი „ჩვენი ქვეყანა" წერდა: **„ჭელიშის მონასტრის წინამძღვრად (რაჭაშია) დაინიშნა გელათის მონასტრის მღვდელ-მონაზონი დომენტი, ერისკაცობაში დავით გიორგაძე".** მღვდელ-მონაზონმა დომენტიმ 1918 წლის 3 აპრილს ჩაიბარა ჭელიშის მონასტერი, რომელიც იმ პერიოდში ახლომდებარე მოსახლეობისაგან დიდ შევიწროებას განიცდიდა. 1918 წლის 23 აპრილით დათარიღებულ წერილში იგი ქუთაისის საეპარქიო მმართველობის კანცელარიას შემდეგი შინაარსის მოხსენებას უგზავნის: **„თანახმად ქუთაისის საეპარქიო მმართველობის კანცელარიის მოწერილობისა... წარმოუდგენ სიას ჭელიშის მონასტრის მოიჯარადეთა. სახელს მამისას და სახელს და გვარს და სოფლების სახელს, კანტრახტების რიცხვს, რამოდენიმეს ვადა აქვს გასული და რამოდენიმეს არა აქვს გასრული. არავითარი წერილობითი ცნობა არ მიმიღია, რომ მონასტერს ქონდეს ადგილმამული ჩამორთმეული... მე თვითონ შეევეკითხე... მახლობელ კომისარ-კომიტეტებს სიტყვიერად და იმათმა გამომიცხადეს ჩვენ არავითარი ბრძანება არ გაგვიცია ხალხში, რომ ვითომ მონასტერს ადგილი ჩამორთმეოდეს, მაგრამ ხალხი თავისი ნებით ჩადიან ამ საქმეს".**

მღვდელ-მონაზონი დომენტი 1917წ.

მღვდელ-მონაზონი დომენტი 1918 წლის 27 ივლისამდე წინამძღვრობდა ჭელიშის მონასტერს. 1918 წლის 27 ივლისიდან იგი ქუთაისში სამიტროპოლიტო სასახლის ეკონომოსად დაინიშნა და ილუმენის წოდება მიენიჭა. 1918 წლის 30 ნოემბერს ილუმენი დომენტი ჯრუჭის მონასტრის წინამძღვარს, არქიმანდრიტ პავლეს (ჯაფარიძე) სწერდა: **„ჩემი საქმის შინაარსი კარგად უწყის თქვენმა მაღალღირსებამ. ამის გამო, უმორჩილესად გთხოვთ, აღძრათ შუამდგომლობა იმერეთის მიტროპოლიტის მაღალყოვლადუსამღვდელოესის ნაზარი ქუთათელის წინაშე მიმიღოს რწმუნებულ თქვენდამო მონასტერშიდ მღვდელ-მონაზვნის ალაგზედ".** თავის მხრივ, 1918 წლის 20 დეკემბერს არქიმანდრიტმა პავლემ უშუამდგომლა მიტროპოლიტ ნაზართან, რომელმაც, 1918 წლის 25 დეკემბერს ქუთაისის საეპარქიო საბჭოს მისწერა განეხილათ ეს საკითხი. 1918 წლის 30 დეკემბერს საბჭოს დააკმაყოფილა ეს თხოვნა და 1919 წლის იანვრის თვიდან ილუმენი დომენტი ჯრუჭის მონასტერში მღვდელ-მონაზონის ადგილზე დაინიშნა. 1923 წელს კომუნისტებმა დაარბიეს ჯრუჭის მონასტერი და ქუთათელმა მიტროპოლიტმა ნაზარმა (ლეჟავა) ილუმენი დომენტი როდიონულის მაცხოვრის სახ. ტაძრის წინამძღვრად დანიშნა. 1924 წლის 1 აგვისტოს, ქუთათელ მიტროპოლიტ ნაზართან და სხვა სასულიერო პირებთან ერთად იმყოფებოდა როდიონულის ტაძრის კურთხევაზე, სადაც დააპატიმრეს და ქუთაისის ციხეში გადაიყვანეს. იმავე წლის 2 სექტემბერს, გამთენიისას, მიტროპოლიტი ნაზარის და ოთხი სხვა სასულიერო პირის დახვრეტის შემდეგ ილუმენი დომენტი კვლავ საპატიმროში რჩებოდა დანარჩენ სასულიერო პირებთან ერთად. იმავე წლის 5 სექტემბერს მან ხელისუფლებას თხოვ-

თბილისის ფერისცვალების მონასტრის საძმო. 1912წ.
მარჯვნიდან მეორე ზის - ბერ-დიაკონი დომენტი

მონამეთობა 1958წ. ცენტრში დგას ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაუმი (შავიანიძე). მისგან მარჯვნივ მიტრით - არქიმანდრიტი დომენტი

ნით მიმართა: **„მიწა არ მქონდა, ამიტომ ვიყავი ბერად ჯრუჭის მონასტერში. ახლა მსურს გავიპარსო და ვემსახურო საბჭოთა ხელისუფლებასო...“.** ეს თხოვნა მან თავისი ნებით დაწერა თუ დააწერინეს ძნელი სათქმელია, ერთი რამ კი ცხადია, ამდენი დახვრეტების შემყურეს, რთულია რაიმე მოსთხოვო. მონამეობრივი აღსასრული და თავის გაწირვა ყველა სასულიერო პირს არ შეუძლია. იგი კიდევ რამდენიმე დღე გააჩერეს ციხეში და 1924 წლის 17 სექტემბერს გაათავისუფლეს. მიუხედავად ამ აღიარებისა, რომ იგი საბჭოთა ხელისუფლების ერთგულია და მათ სამსახურში ჩადგებოდა, იღუმენმა დომენტიმ კვლავ დედაეკლესიას მიაშურა და სოფ. როდიონულში ღვთისმსახურება გააგრძელა. შემდეგომ წლებში მას ასევე ჩაბარებული ჰქონდა ცხენთაროს წმ. გიორგის სახ. სამრევლო. 1932 წლის 1 ოქტომბრიდან 1937 წლის ჩათვლით პირველი სალომინაოს ღვთისმშობლის სახ. ტაძრის წინამძღვარია. 1938-1943 წლებში წყალტუბოს რაიონის სოფ. ფარცხანაყანევის ქვაშვეთის წმ. გიორგის სახ. ტაძარშია. 1945 წლის 15 მარტს ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ეფრემი (სიდამონიძე) სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს (ცინცაძე) სწერდა: **„იღუმენი დომენტი გიორგაძე, რომელსაც მღვდელმოქმედება სულ არ შეუწყვეტია და 1944 წლის აგვისტოდან კიდეც სწირავს სოფ. ზედა სიმონეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, რომელიც ადგილობრივ სტაროსტას გადაუცია მისთვის. ადგილობრივი ადმინისტრაცია ლოიალურად ეკიდება კულტის მსახურს. თუ როგორი სახით უნდა მოხდეს ეკლესიის რეგისტრაცია მე მას განუმარტე. იღუმენი გიორგაძე მივაწერე ქუთაისის მწვანეყვავილის ეკლესიას და მივავლინე მღვდელმოქმედების აღსასრულებლად სოფ. ზედა სიმონეთის და საზოგადოდ ჩხარის რაიონში. შედარებით სხვა სამღვდელო პირებთან, რომელთაც ვიცნობ ჩემს ეპარქიაში — იგი უკეთესი მკითხველია და არ დაუკარგავს გარეგნული მშვენიერი სახე მოძღვრისა, რაც გარედან მაყურებელზე მშვენიერ შთაბეჭდილებას სტოვებს. უკეთუ რაიმე დამაბრკოლებელი მიზეზი არ არის მის აღდგენისათვის საწინააღმდეგო, ვთხოვ თქვენს უწმინდესობას გვიბრძანოს“.** 1949 წლიდან ქუთაისის რაიონის სოფ. ქვედა სიმონეთის წმ. დავით და კონსტანტინეს სახ. ტაძრის წინამძღვარია. 1954 წელს ისევ იღუმენის ხარისხშია. 1956 წლის 24 იანვარს კი უკვე არქიმანდრიტის წოდება აქვს. არქიმანდრიტი დომენტი 1959 წელს გარდაიცვალა.

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 489, აღწერა 1, საქმე 57648; საქართველოს უახლესი ისტორიის სახელმწიფო ცენტრალური არქივი, ფ. 1879, აღწერა 1, საქმე 31; ფ. 1880, აღწერა 3, საქმე 3; საქმე 17; საქმე 22; ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფ. 21, აღწერა 1, საქმე 26646; საქმე 27003; საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 1630; საქმე 2417; გაზეთი „ჩვენი ქვეყანა“ 1918წ. 68, გვ. 2; ჟურნალი „ცისკარი“ 1998წ. 11, გვ. 129 (თ. ამყოლაძის სტატია „მიტროპოლიტ ნაზარის უკანასკნელი დღეები“).

ლიტ: მალხაზ მურუსიძე „რაჭის საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრება XI საუკუნიდან — XX საუკუნის მეორე მეოთხედამდე“ ქ. ქუთაისი 2019წ., გვ. 177.

რუბრიკას უძღვება
დიაკონი
გიორგი მაჩურიშვილი

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22.
ანგარიში: № GE57LB0115123530407000. სახაზინო კოდი — 45 01 56.
9 772587 506008
რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა:
bokuchavanana1@gmail.com.
მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მოადგილე: **ნანა ბოკუჩავა** ტ: 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, დიაკონი გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბუღალტერი: ვლასი ჯიბლაძე; გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ეაღერიან ჯუღელი

ისტორიის ფურცელი

დეკანოზი ალექსი გიორგობიანი

1830 — 1909



ბუგეულის ღვთისმშობლის შობის ეკლესია

დეკანოზი ალექსი გიორგის ძე გიორგობიანი 1830 წლის 20 მარტს, რაჭის მაზრის სოფ. ბუგეულში, მღვდლის ოჯახში დაიბადა. ეკუთვნოდა აზნაურთა წრეს.

მამამისი, მღვდელი გიორგი რამაზის ძე გიორგობიანი XVIII ს-ის II ნახ. დაიბადა. მიღებული ჰქონდა შინაური განათლება. წლების განმავლობაში მსახურობდა ბუგეულის (ზედა) მაცხოვრის ეკლესიაში. 1830 წელს იგი კვლავ მოქმედი მღვდლად, ხოლო 1834 წელს ყოფილ მღვდლად იხსენიება. ამ ეტაპზე ჩვენთვის უცნობია, დასაჯეს თუ ავადმყოფობის გამო აღარ მსახურობდა. 1849 წელს კვლავ ცოცხლებში იხსენიება. ჰყავდა მეუღლე - გულქან გიორგის ასული. გიორგისა და გულქანს ჰყავდათ ორი ვაჟი: დეკანოზი ალექსი და მღვდელი ნიკოლოზი.

1831 წლის 14 ოქტომბერს გარდაიცვალა დეკანოზ ალექსის პაპა — რამაზ გიორგობიანი, 90 წლის ასაკში, მოხუცებულობით.

კარ-მიდამო, სადაც მღვდელ გიორგის ოჯახი ცხოვრობდა, მდებარეობს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ბუგეულში. შემორჩენილია ძველი ოდა-სახლი, რომელსაც კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული. ეზოში ამაყად დგას ბუნების ძეგლი — 800-წლიანი მუხა. სწორედ ამ ეზოში დაიბადა და აღიზარდა მომავალი დეკანოზი.

პატარა ალექსიმ პირველდაწყებითი განათლება ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში მიიღო, ხოლო 1847-1853 წლებში თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა, რომელიც მეორე ხარისხის დიპლომით დაამთავრა. 1853 წლის 9 სექტემბერს გორის სასულიერო სასწავლებელში I კლასების მასწავლებლად დაინიშნა. 1855 წლის 15 ივლისს რაჭის დაწყებით სასწავლებელში საღვთო სჯულის მასწავლებლად გადაიყვანეს. 1855 წლის 10 ოქტომბერს იმერეთის ეპისკოპოსმა ექვთიმემ (წულუკიძე) დიაკვნად აკურთხა, ამავე წლის 15 ოქტომბერს მღვდლად დაასხა ხელი და ონის წმ. გიორგის სახ. ტაძრის წინამძღვრად განამწესა. ჰქონდა ჯილდო — ყირიმის ომის (1853-1856) სამახსოვრო წმ. ვლადიმერის ლენტიანი ბრინჯაოს ჯვარი. 1858 წლის თებერვალში სასწავლო დარგში ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის საგვერდულით დაჯილდოვდა. 1861 წლის 6 აგვისტოს ონის ოლქის მთავარხუცესად აირჩიეს. 1863 წლის 6 აგვისტოს სკუფია უბოძეს. 1869 წლის 15 აპრილს კამილავკა ეწყალობა. 1875 წლის 3 თებერვალს მთავარხუცესად 12-წლიანი კეთილსინდისიერი სამსახურისათვის წმ. ანას III ხარისხის ორდენით დაჯიდლოვდა, ხოლო იმავე წლის 12 აპრილს სამკერდე ოქროს ჯვარი მიიღო. 1880 წლის 29 ივნისს დეკანოზის წოდება მიენიჭა. 1886 წელს რაჭის მაზრის სამრევლო-საეკლესიო სკოლების მეთვალყურედ დაინიშნა. 1888 წლის 24 აპრილს წმ. სინოდმა მადლობის სიგელი უბოძა. 1888 წელს იმერეთის ეპარქიალური სასწავლო საბჭოს რაჭის მაზრის განყოფილების თავჯდომარედ აირჩიეს. 1889 წლის 25 ოქტომბერს სასწავლო კომიტეტმა მადლობა გამოუცხადა. 1890 წლის 1 სექტემბერს გათავისუფლდა საღვთო სჯულის მასწავლებლობიდან და მრავალწლიანი ნაყოფიერი სამსახურისთვის წელიწადში 240 მან. პენსია დაენიშნა. ჰქონდა ჯილდო წითელი ჯვრ-

დეკანოზ ალექსი გიორგობიანის სახლი და ეზო

ის საზოგადოების სამახსოვრო ჯვარიც. 1891 წლის 15 მაისს წმ. ანას II ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. 1896 წლის 6 მაისს წმ. ვლადიმერის IV ხარისხის ორდენი ეწყალობა. იმავე წლის დეკემბერში კიდევ აირჩიეს რაჭის განყოფილების თავჯდომარედ. 1897 წლის გაზაფხულზე დეკანოზმა ალექსიმ საქართველო-იმერეთის სასინოდო კანტორას ჭელიშის მონასტრის წინამძღვრობა და ბერად აღკვეცა სთხოვა, მაგრამ უარი მიიღო.

დეკანოზი ალექსი გიორგობიანი

1898 წლის 12 იანვარს ქუთაისში უეცრად გარდაიცვალა მთელ რაჭა-იმერეთში ყველასგან ცნობილი და პატივცემული აზნაური ალექსანდრე ბერის ძე ბაქრაძე. იგი ქუთაისიდან რაჭაში, სოფ. ლაგვანთას მიასვენეს და 28 იანვარს დაკრძალეს. დასაფლავებაზე სიტყვა წარმოსთქვა დეკანოზმა ალექსი გიორგობიანმა: **„ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ". „აქ შემოკრებილნო პატიოსანნო ჭირისუფალნო და მსმენელნო! თქვენ ყველანი ხედავთ, თუ როგორის მწუხარებით არის შეპყრობილი დღეს აქ შეკრებილი საზოგადოება, თუ ვითარ გლოვენ და სტირიან თავის საყვარელ ალექსანდრეს; ყველას პირზე შემდეგი აკერია: „შენ იყავი პატიოსანი, თავ-მდაბალი, წყნარი, ღვთისა და კაცის მოყვარული, თითქმის ანგელოზისებურის ხასიათის კაცი". აი, ამ ნაირად ამკობენ ყველანი ჩვენ წინაშე უხმოდ და უსულოდ მდებარე მიცვალებულს; და მეც, ჩემის მხრით, როგორც სულიერი მამა და მოძღვარი, ვამტკიცებ ყოველივე ზემოთქმულის სინამდვილესა და ჭეშმარიტებას. უკეთესად ჩემსა, ვგონებ, არავის შეეძლოს განსვენებულისა და მისთა საქმეთა და მოქმედებათა ცოდნა. ვამბობ, ის იყო ჭეშმარიტი ქრისტიანე. მაგრამ, მიუხედავად ამისა, განსვენებულის მცირე ჟამიერი ამ ქვეყნიური სიცოცხლე არ იყო დაჯილდოებული არც ოჯახური და არც სხვა ამ ქვეყნიური ბედნიერებით. ძმანო ჩემნო საყვარელნო, ეს აიხსნება იმით, რომ იგი არ იყო გაჩენილი ამ ქვეყნისათვის და მისი ამაოებისათვის, არამედ ზეცათა სასუფევლისათვის, რათა პირისპირ ღმერთი ეხილა, ამიტომაც იტყვის მაგისთანა პირებზე მაცხოვარი: „ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ". ეს სიტყვები ზედ გამოჭრილნი არიან განსვენებულზე და მდაბიურად რომა ვსთქვათ, ნიშნავენ იმას, რომ ისინი, რომელთაც გულში ბინძური სურვილი და გონებაში ღვთის წინააღმდეგი ჰაზრები არა აქვთ, ზეცათა შინა საუკუნო ნეტარებაში იქმნებიან. ისინი პირისპირ იხილვენ ღმერთს, რადგანაც გულწრფელად და არა თვალთმაქცურად უყვართ ღმერთი და მისი სჯული და რადგანაც ღვთის სარწმუნოების თანახმად აქვთ მომართული თავის სიცოცხლე და ცხოვრება, ერთი სიტყვით რადგანც არიან წრფელნი და გულ-უბრყვილონი. სწორეთ აგეთივე იყო განსვენებულის ცხოვრება და აი, ამით ვანუგეშებ მის უზომოთ დამწუხარებულ ნათესავ-ნაცნობებს, რომლებიც ასე მწარეთ გლოვობენ ალექსანდრეს უდროვოდ დაკარგვას".**

1905 წლის 28 აპრილს დეკანოზი ალექსი გადადგა მთავარხუცესის პოსტიდან. 1905 წლის 21 სექტემბერს შტატიდანაც გავიდა. ღვაწლმოსილი მოძღვარი 1909 წლის 20 მარტს გარდაიცვალა თავის დაბადების დღეზე. დაკრძალულია ბუგეულის ღვთისმშობლის შობის სახ. ტაძარში.

მეუღლე - ელისაბედ ლუარსაბის ასული კურცხალია (1835-3.08.1871წ.); შვილები: **ალექსანდრა** (დაბ. 12.06.1861წ.); **გაბრიელი** (დაბ. 13.07.1865წ., პირველი ცოლი — მარიამ/ვარინკა გრიგოლის ასული (1868-1890წ.) და შვილები: ნინო (7.05.1885-19.05.1890წ.), იოანე (დაბ. 27.01.1888წ., დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი), ანა (დაბ. 1.02.1889წ., გარდაიცვალა ადრეულ ასაკში). მეორე ცოლი — თავადის ქალი ელისაბედ სპირიდონის/სპანდიერის ასული ერისთავი (დაბ. 1864წ.) და შვილები: გრიგოლი (2.12.1891-19.07.1894წ.); ზინაიდა (დაბ. 4.01.1893წ., გათხოვილი აზნაურ ივლიანე ნიკოლოზის ძე ჯაფარიძეზე), გიორგი (დაბ. 1896წ., გარდაიცვალა ადრეულ ასაკში); **ოლღა** (6.12.1870-13.08.1871წ.);

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 489, აღწერა 1, საქმე 40418; საქმე 42036; საქმე 42342; საქმე 47986; საქმე 49342; ფ. 6, აღწერა 1, საქმე 117; საქმე 143; საქმე 227; საქმე 777; ჟურნალი „მწყემსი" 1888წ. , გვ.; 1898წ. 7, გვ. 13; Журнал „Духовный вестник Грузинского Экзархата" 1891წ. 6; 1896წ. 11.

ლიტ: კეზევაძე მ. „ეგზარქოსობისდროინდელი რაჭის ეკლესიები და მღვდლები", ქ. ქუთაისი, 2014წ. გვ. 16; გვ. 25.

ისტორიის ფურცელი

მღვდელი ანტონი და პროტოდიაკონი აპოლონ ბალანჩივაძეები

მღვდელი ანტონ ბალანჩივაძე მეუღლესთან და ქალიშვილ ანასთან ერთად

მღვდელი ანტონ ანდრიას ძე ბალანჩივაძე 1828 წელს იმერეთში, გლეხის ოჯახში დაიბადა. 1849 წელს დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი. საღმრთო წერილის ქართულ ენაზე კითხვა-გალობა და საეკლესიო ტიბიკონი სოფლის ეკლესიაში ისწავლა. 1854 წლის 11 თებერვალს (მეორე ვერსიით — 1853 წლის 2 თებერვალს) იმერეთის ეპისკოპოსმა ექვთიმემ (წულუკიძე) დიაკვნად აკურთხა და ფუთის წმ. გიორგის სახ. ტაძრის წინამძღვრად განამწესა. 1856 წელს ქუთაისის საკათედრო ტაძარში დიაკვნის შტატში გადაიყვანეს. 1864 წლის 23 აგვისტოს იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) მღვდლად დაასხა ხელი და ბანოჯის წმ. გიორგის სახ. ტაძარში დაადგინა. 1865 წლის 15 მაისს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1865 წლის 12 ივნისს ჩუნეშის ოლქის მთავარხუცესის თანაშემწედ დაინიშნა. 1871 წლის აგვისტოდან მთავარხუცესია. 1874 წლის 30 მარტს სკუფია უბოძეს. 1874-1876 წლებში ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მმართველი საბჭოს წევრია. XIX ს-ის 60-იანი წლების ბოლოს ბანოჯის ტაძართან გახსნა სამრევლო სკოლა, სადაც თავადვე ასწავლიდა. ამ სკოლამ 1884 წლამდე იარსება. 1881 წელს ჩუნეშის ოლქის სამღვდელოების მხრიდან დეპუტატად გაიგზავნა საეპარქიო შეკრებაზე. 1883 წლის 7 აპრილს კამილავკა ეწყალობა. 1889 წელს სამკერდე ოქროს ჯვარი მიიღო. მღვდელი ანტონი 1889 წლის 23 დეკემბერს გარდაიცვალა. 1890 წლის 6 იანვარს მის მეუღლეს წელიწადში 115 მანეთი პენსია დაენიშნა.

მეუღლე - ივლიტა ნიკოლოზის ასული (დაბ. 1838წ.) და შვილები: **მელიტონი** (12.12.1862-21.11.1937წწ., კომპოზიტორი, ქართული მუსიკის კლასიკოსი, ქართული ეროვნული ოპერისა და რომანსის ფუძემდებელი, მომღერალი და ლოტბარი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი. ორდენოსანი. 1895 წელს დაამთავრა სანკტ-პეტერბურგის სამუსიკო კონსერვატორიის თეორიული დარგი. სიმღერა-გალობა ქუთაისში, გაბრიელ ეპისკოპოსის გუნდში დაიწყო. 1880 წელს თბილისის სახაზინო საოპერო გუნდში მუშაობდა, იმავე წელს ეგზარქოსის გუნდის ლოტბარის თანაშემწედ მიიწვიეს. 1883 წელს ეგზარქოსის მგალობელთაგან გუნდი შეადგინა. 1895 წლის 7 იანვარს პეტერბურგის საკრედიტო საზოგადოების დარბაზში გამართა კონცერტი, სადაც საკუთარი ქართული ნაწარმოებები შეასრულა. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ თბილისში ქართული მუსიკალური საზოგადოება დააარსა. წლების განმავლობაში განაგებდა თბილისის კონსერვატორიას. 1934 წლის 29 აპრილს, 50 წლისას იუბილე გადაუხადეს. 1933 წელს მიენიჭა სახალხო არტისტის წოდება); **ივანე** (დაბ. 1864წ., დაამთავრა ოდესის იუნკერთა სასწავლებელი); **ვასილი** (12.04.1870-18.05.1851წწ., მსახიობი, დრამატურგი, მხატვარი, ქუთაისის მუდმივი დრამატული წრის ერთ-ერთი დამაარსებელი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი. დაამთავრა პეტერბურგის სამხატვრო აკადემია. 1891 წელს სტუდენტთა გაფიცვებში მონაწილეობისათვის 7 თვე პეტრე-პავლეს ციხეში იჯდა. 1906 წლიდან ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში ხატვას ასწავლიდა. 1907 წელს ვ. შალიკაშვილთან ერთად ქუთაისის დრამატულ დასს ხელმძღვანელობდა. 1912-1917 წლებში ქართულ დასში მონაწილეობდა. 1912-1923 წლებში ქუთაისის დასს, 1923 წლიდან თბილისის პარტიული სკოლისა და კომუნიკაციათა ინსტიტუტის დრამწრეებს ხელმძღვანელობდა. 1936 წლიდან კინოში მუშაობდა. ფილიპე ბარბაქაძის ფსევდონიმით ჟურნალ-გაზეთებში ათავსებდა სცენებს, იუმორისტულ ამბებსა და სხვ. 1891 წლიდან მონაწილეობდა მხატვართა გამოფენებზე. მის ნახატებს შორის ცნობილია „იმერეთის მიდამო“, რომელიც დაცულია სანკტ-პეტერბურგის აკადემიაში. 1921 წლიდან „რაბისის“ წევრი იყო. 1922 წლის 2 ივნისს სასცენო მოღვაწეობის 30

წლის იუბილე გადაუხადეს. 1950 წლის 18 იანვარს საღამო მოუწყვეს და რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება მიენიჭეს. დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის“ ორდენით); **ანა** (დაბ. 1875წ.).

მელიტონ ბალანჩივაძე, 1934წ.

როგორც ვხედავთ, მღვდელ ანტონ ბალანჩივაძის შვილებიდან სასულიერო სარბიელი არავინ აირჩია. მხოლოდ მისმა შვილიშვილმა — აპოლონმა, რომელიც ბაბუას გარდაცვალების დროს 3 წლისა გახლდათ, უკვე მოზრდილ ასაკში მიაშურა დედაეკლესიას და პროტოდიაკვნის ხარისხი მიიღო.

პროტოდიაკონი აპოლონ მელიტონის ძე ბალანჩივაძე 1886 წელს, ქ. ქუთაისში დაიბადა. დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი. ახალგაზრდა აპოლონი სწავლის გასაგრძელებლად რუსეთში წავიდა და ქ. სანკტ-პეტერბურგის მე-2 ვედენსკის ვაჟთა გიმნაზიაში ჩააბარა. 1904-1906 წლებში მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის ომში როგორც მოხალისე. 1906-1909 წლებში სანკტ-პეტერბურგის ვლადიმირის სახ. სამხედრო სასწავლებელში სწავლობდა. 1909-1914 წლებში სუვალსკის მე-20 მსროლელ პოლკში ოფიცრად მსახურობდა. 1914 წელს აპოლონი დააპატიმრეს, თუმცა იმავე წელს გაათავისუფლეს. 1914-1917 წლებში ფინეთის მხარეს, სანაპირო საზღვარზე მყოფ არმიაში მსახურობდა. 1917-1918 წლებში იგი იყო პირველი მსოფლიო ომის დროს თურქეთის ფრონტზე ბატალიონის მეთაური. 1918 წელს კვლავ დააპატიმრეს, თუმცა მალევე გაათავისუფლეს. 1920-1922 წლებში — ოდესაში, 1922-1923 წლებში — ბათუმში, 1923-1924 წლებში — ფოთში, ხოლო 1924-1926 წლებში — თბილისში — სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდა. 1926-1928 წლებში უმუშევარია. როგორც მეფის რუსეთის არმიის ყოფილ ოფიცერს, ჩამორთმეული ჰქონდა მოქალაქეობა და არჩევნებში მონაწილეობის უფლება. 1928 წლის მარტში მან თხოვნით მიმართა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, აღედგინათ მისი უფლებები, მაგრამ უარი ეთქვა. 1932-1934 წლებში თბილისის ტანსაცმლის ქარხანის მუშაა, 1934-1935 წლებში ვენერიულ ინსტიტუტში დირექტორის მოადგილე, ხოლო 1935-1942 წლებში თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარი ბუღალტერი. 1941 წელს იგი მესამედ დააპატიმრეს, მაგრამ სამხილის არქონის გამო ვერაფერი დაუმტკიცეს და გამოუშვეს. 1942 წელს საქმე კვლავ აღიძრა, პროკურორმა იგი გაათავისუფლა, თუმცა 1942-1946 წლებში ადმინისტრაციული წესით გაგზავნეს თავისუფალ გადასახლებაში დასავლეთ ყაზახისტანში, ურალსკის რაიონში, სოფ. შჩიპოვოში. ზუსტად იმ დროს იქ გადასახლებაში იმყოფებოდნენ საქართველოს ეროვნული გმირის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეუღლე და ქალიშვილი — ქეთევანი. შემდგომში ქეთევანი თავის მოგონებებში წერდა: **„სოფელს ერთი მდორე, განიერი მდინარე ჰერკულესი ჩაუდიოდა. ორმა ქართველმა - აპოლონ ბალანჩივაძემ და სევერიან ჩხეიძემ გადაწყვიტეს თევზის დაჭერა, რადგან ძალიან გვიჭირდა. ფქვილი ღვთის ფასი იყო. „პაჩკა“ ჩაი 250 მან. იყო. მთელი ზამთარი დედა და მე ბადეს ვქსოვდით. აპოლონა გადაცურავდა ხოლმე მდინარეს და ბადეს ტოვებდა, მაგრამ ბადეს მხოლოდ კიბორჩხალები ამოჰყვა, ვინ დაეძებდა! საჭმელიც ვიშოვეთ და ბაზარშიც ვყიდდით, მაგრამ ერთ დღეს ბადე მოპარული დაგვხვდა... ასე გავიდა დრო 1947 წლამდე. ერთ დღეს უფროსმა იაშამ გამოგვიძახა და გვითხრა, განთავისუფლებულნი ხართო. დედა, მე და აპოლონი. არ მჯეროდა და გამეცინა. აპოლონს და დედას ხელი მაშინვე მოუწერა განთავისუფლებაზე... თბილისში ჩამოვედით 1947 წლის 12 მაისს“.**

1947-1948 წლებში აპოლონი თბილისში, დუშეთსა და რუსთავში მთავარ ბუღალტრად მუშაობდა. 1949 წლის დასაწყისში გათავისუფლდა საერო სამსახურიდან და სასულიერო უწყებაში გადავიდა. 1949 წლის 19 მარტს ქუთაისის მოციქულთა თავთა პეტრესა და პავლეს სახ. საკათედრო ტაძარში ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა ეფრემმა (სიდამონიძე) დიაკვნად აკურთხა და იმავე ტაძარში დაადგინა. 1950 წლის 1 იანვარს პროტოდიაკვნის წოდება მიენიჭა. 1956 წლის 3 ივლისს გარდაიცვალა ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი გაბრიელი (ჩაჩანიძე). იმავე წლის 23 ივლისს ქუთაისში, მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის კურთხევით შედგა ქუთაის-გაენათისა და მარგვეთის ეპარქიათა კრება, რომელსაც დაესწრნენ აღნ- ნული ეპარქიების სამღვდელოება და სამრევლო

ქუთათელ-გაენათელი ეპისკოპოსი ნაუმი (შავიანიძე) ეპარქიის სამღვდელოებასთან ერთად. უკან დგას - პროტოდიაკონი აპოლონი. 1964წ.

წევრნი. კრებამ მოისმინა რამდენიმე საკითხი, მათ შორის საეპარქიო კანცელარიის მდივნის არჩევისა და მისთვის გასამრჯელოს დანიშვნის შესახებ. ქუთაის-გაენათისა და მარგვეთის ეპარქიის მდივნად დაინიშნა პეტრე-პავლეს საკათედრო ტაძრის პროტოდიაკონი აპოლონ ბალანჩივაძე, რომელსაც თვიურად 400 მანეთი ეძლეოდა. 1959 წლის 27 აპრილს ქუთათელ-გაენათელი ეპისკოპოსი ნაუმი (შავიანიძე) კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკს (ფხალაძე) სწერდა: **„პროტოდიაკვანი აპოლონ ბალანჩივაძე ურევს საქმეებს, იქცევა ცუდად და არის დასჯილი დეკანოზების - ხელიძისა და საყვარელიძის მიმდევარი; საჭიროა იგი განდევნილ იქნას ჩვენი ეპარქიიდან“.** სამწუხაროდ, ამ ეტაპზე უცნობია, ზუსტად რა იყო მიზეზი მისი დასჯისა. 1960 წელს კათოლიკოს-პატრიარქმა ეფრემ II-მ (სიდამონიძე) სხვა დასჯილ სასულიერო პირებთან ერთად მასაც აღუდგინა მსახურება. ოფიციალურ სიებში იგი უკანასკნელად 1966 წლის 1 ნოემბრის იხსენიება. პროტოდიაკონი აპოლონი, სავარაუდოდ, XX ს-ის 60-იანი წლების მიწურულს გარდაიცვალა. დასაფლავებულია ქუთაისის პეტრესა და პავლეს სახ. ტაძრის ეზოში.

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 489, აღწერა 1, საქმე 40932; საქმე 42488; საქართველოს უახლესი ისტორიის სახელმწიფო ცენტრალური არქივი, ფ. 284, აღწერა 1, საქმე 3220, გვ. 88-89; ფ. 1880, აღწერა 1, საქმე 136, გვ. 8; ფ. 1880, აღწერა 3, საქმე 17, გვ. 4; საქმე 22, გვ. 4; ფ. 1880, აღწერა 4, საქმე 25, გვ. 9; საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე 2312, გვ. 152-153; გვ. 173-174; მიტროპოლიტ ნაუმის (შავიანიძე) პირადი არქივი.

ლიტ: გ. შარაძე, გ. გვერდწითელი „ქაქუცა ჩოლოყაშვილი“ ქ. თბ. 1989წ., გვ. 79-80; გვ. 82; იოსებ იმედაშვილი „ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი“ ქ. თბილისი 2019წ., გვ. 287-289.

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22.
ანგარიში: № GE57LB0115123530407000. სახაზინო კოდი — 45 01 56.
9 772587 506008
რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა: bokuchavanana1@gmail.com.
მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მოადგილე: **ნანა ბოკუჩავა** ტ: 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, დიაკონი გიორგი მაჩურიშვილი, ია ზაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბულალტერი: ვლასი ჯიბლაძე; გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯულელი

ისტორიის ფურცელი

დეკანოზი დიმიტრი ბერულავა 1856-1915

დეკანოზი დიმიტრი გიორგის ძე ბერულავა 1856 წელს სამეგრელოს სამთავროში, სოფ. კურზუში მღვდლის ოჯახში დაიბადა. სასულიერო პირები იყვნენ მისი მამა — მღვდელი გიორგი და პაპა — მღვდელი სიმონი.

მღვდელი სიმონ გაბრიელის ძე ბერულავა 1791 წელს გლეხის ოჯახში დაიბადა. ქართულ ენაზე საეკლესიო წიგნი, წერა-კითხვა, გალობა და ტიბიკონი მარტვილის მამათა მონასტერში ისწავლა. 1825 წლის 15 ივნისს ჭყონდიდელმა მიტროპოლიტმა ბესარიონმა (დადიანი) დიაკვნად აკურთხა. იმავე წელს მღვდლად დაასხა ხელი და კურზუს მთავარანგელოზთა სახ. ტაძარში განამწესა. 1870 წელს პენსიაზე გავიდა. მღვდელი სიმონი 1888 წლის 16 იანვარს მოხუცებულობით გარდაიცვალა. სიკვდილის წინ აღსარება ათქმევინა და აზიარა მღვდელმა დავით ადამიამ. წესი აუგო და დაასაფლავა მთავარხუცესმა, მღვდელმა ბესარიონ ხუხუნმა და მღვდელმა დავით ადამიამ, მედავითნე დიმიტრი ბერულავასთან ერთად ნაფიჩხოუს წმ. გიორგის სახ. ტაძარში. ჰყავდა ორი ვაჟი: მღვდელი გიორგი და იოანე (დაბ. 1831წ., მისი მეუღლე ბარბარე ხახუტას ასული (დაბ. 1842წ.) და შვილები: მღვდელი სოფრონი (1862-1937წწ.), ილია (დაბ. 1863წ.), ივლიტა (დაბ. 1870წ.), ზინობია (დაბ. 1873წ.).

მღვდელი გიორგი სიმონის ძე ბერულავა 1826 წელს დაიბადა. თავისი მამის მსგავსად, მანაც ქართულ ენაზე საღმრთო და საეკლესიო წიგნების კითხვა, წერა, კატეხიზმო, ისტორია, გალობა და საეკლესიო ტიბიკონი მარტვილის საკათედრო ტაძარში ისწავლა. 1860 წლის 25 მარტს სამეგრელოს ეპისკოპოსმა გერონტიმ (პაპიტაშვილი) დიაკვნად აკურთხა, იმავე წლის 20 აპრილს მღვდლად დაასხა ხელი და გოდოგნის წმ. გიორგის სახ. ტაძარში განამწესა. 1896 წელს პენსიაზე გავიდა. მღვდელი გიორგი 1907 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია ნაფიჩხოს წმ. გიორგის სახ. ტაძრის ეზოში. 1885 წელს უკვე ქვრივია. დარჩა შვილები: მღვდელი იოანე (დაბ. 1853წ.), დეკანოზი დიმიტრი (1856-1915წწ.), სიმონი (დაბ. 1862წ.); მღვდელი ალექსი (დაბ. 1864წ.), ეგნატე (დაბ. 1866წ.).

მამა-პაპისეული საქმის ღირსეული გამგრძელებელი იყო **დიმიტრი,** რომელმაც 1876 წელს დაამთავრა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი. ქართულ ენაზე საღმრთო და საეკლესიო წიგნების კითხვა, წერა, კილოზე გალობა და საეკლესიო ტიბიკონი გელათის მონასტერში ისწავლა. 1877 წლის 1 სექტემბერს ზუგდიდის მაზრის, სოფ. ახუთის ეკლესიის წინამძღვარმა, მღვდელმა ანტონ პაპასქირმა დიმიტრი ტაძართან ახლად გახსნილ სამრევლო-საეკლესიო სკოლის მასწავლებლად მიიწვია. პედაგოგიური საქმიანობა სოფ. ახუთში ნაყოფიერად წარიმართა. დიმიტრიმ დამსახურებული ავტორიტეტი მოიპოვა, იგი ყველას უყვარდა და დიდ პატივს სცემდნენ. მწერალ ვ. როდონაიას მოყავს ერთი საგულისხმო ეპიზოდი მისი ამდროინდელი მოღვაწეობიდან: **„... 1879 წელს ახუთის სკოლის შენობას ცეცხლი გაუჩნდა, პირველად დიმიტრიმ მიირბინა, სკოლის უკან მიშენებულ პატარა ოთახში რამდენიმე მოსწავლე ცხოვრობდა. იგი იმ დროს შევარდა ოთახში, როცა დაბნეულ ბავშვებს თავზე ცეცხლის ენები დასტრიალებდათ, მან ბავშვები გადაარჩინა, მაგრამ თვითონ მძიმე სიდამწვრე მიიღო. იგი ბინაში საკაცით გადაიყვანეს და ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ გამოკეთდა, სიდამწვრის ნიშნები კი შემდეგაც სახეზე ეტყობოდა მას. საქართველოს სახელმწიფო არქივში დაცულია სკოლის ინსპექტორ ლევიცკის მოხსენება კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველისადმი, სადაც ლევიცკი აღნიშნავს, რომ ხანძრისაგან მთლიანად განადგურდა ახუთის სამინისტრო სკოლა და მის აღსადგენად ითხოვდა 3 000 მანეთს, თუმცა მთავრობამ ეს თანხა არ გამოჰყო და სკოლა მოგვიანებით აღდგა მოქალაქეთა ძალებით“.**

1878 წლის 18 ივნისს დიმიტრი გოდოგნის წმ. გიორგის სახ. ტაძრის პონომარად დაინიშნა. 1883 წლის 28 ივლისიდან გოდოგნის ტაძრის მედავითნეა. 1885 წლის 29 მარტს (მეორე ვერსიით — 26 ივლისს) იმ მამაცობის გამო, რაც მან გამოიჩინა ბავშვების გადარჩენის დროს, სამოქალაქო მმართველობამ წმ. ვლადიმერის ლენტიანი ვერცხლის მედლით დააჯილდოვა. 1889 წლის 1 იანვარს მან დატოვა ახუთის სამრევლო სკოლის მასწავლებლის პოსტი და სასულიერო ასპარეზზე გადაინაცვლა.

1889 წლის 22 იანვარს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგოლმა (დადიანი) იგი დიაკვნად აკურთხა, იმავე წლის 24 იანვარს მღვდლად დაასხა ხელი და ნაფიჩხოუს წმ. გიორგის სახ. ტაძარში დაადგინა. 1889 წლის 28 თებერვალს ალავერტის ოლქის მთავარხუცესის თანაშემწედ აირჩიეს. ნაფიჩხოუს ტაძარში დანიშვნისთანავე, მღვდელმა დიმიტრიმ ტაძართან თავისი ხარჯებით გახსნა სამრევლო-საეკლესიო სკოლა, მაგრამ რადგან მაშინდელმა სახელმწიფო ხაზინამ არ გამოჰყო თანხები სკოლის შენობის ასაშენებლად, მან თავის სახლში ერთ ოთახში გამართა აღნიშნული სასწავლებელი და საჭირო ინვენტარითაც თვითონ მოამარაგა. 1889 წლის ოქტომბერ-

ში სამხედრო ნაწილში მსახურებაც დაევალა. 1891 წლის 14 დეკემბერს სასწავლო დარგში ნაყოფიერი პედაგოგიური სამსახურისთვის მწყემსმთავრული მადლობა გამოეცხადა. 1892 წლის 2 იანვარს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1893 წლის 28 იანვარს ეპისკოპოსმა გრიგოლმა მწყემსმთავრული მადლობა გამოუცხადა. 1895 წელს სკუფია უბოძეს.

1896 წელს ეპისკოპოსმა გრიგოლმა გურია-სამეგრელოს ეპარქიალურ სასწავლო კომიტეტში ზუგდიდის სამაზრო განყოფილების წევრად განამწესა. 1898 წლის 10 დეკემბერს სამთავარხუცესო ოლქის სამღვდელოებამ სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში თავის დეპუტატად გამოარჩია.

მღვდელ დიმიტრის დიდი წვლილი მიუძღვის სამეგრელოში ქართული ენის დაცვის საქმეში. როგორც მოგეხსენებათ, XIX ს-ის 60-იანი წლებიდან რუსეთის იმპერია სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენის განდევნას ცდილობდა. ამ საქმეს ხელმძღვანელობდნენ ქუთაისის სახალხო სკოლების მეთვალყურე ლევიცკი, ხონის საოსტატო სემინარიის პედაგოგი პეტროვი, ხოლო მეგრელების მხრიდან — თ. აშორდია. ლევიცკიმ აშორდიას დაავალა საღვთო სჯულის და წირვა-ლოცვის საღვთო წიგნების თარგმნა მეგრულ ენაზე. მანაც ეს დავალება სიამოვნებით შეასრულა, მაგრამ აშორდიას ამ სამარცხვინო ნაბიჯს მთელი სამეგრელოს მოსახლეობა და საქართველოს სასულიერო და საერო საზოგადო მოღვაწეები ერთხმად წინ აღუდგნენ. მათ შორის იყო მღვდელი დიმიტრი. აი, რას წერდა იგი 1899 წელს გაზეთ „მწყემსში" ამის თაობაზე: **„უმორჩილესად გთხოვთ ამ მცირე შენიშვნას მისცეთ ადგილი თქვენს პატივცემულ გაზეთ „მწყემსში". 11-ს წარსულ ოკტომბერს, სამსახურის გამო დ. ზუგდიდში ჩემი ყოფნის დროს, ერთმა მეგრელმა (ეს იყო თ. აშორდია, როგორც უკვე იციან მკითხველებმა, მეგრული ანბანის შემდგენელი) გამიხმო, ჩემთან ერთი ახალგაზრდა მღვდელიც იყო და გვითხრა: „იმედია, თქვენ არ მიბაძავთ ძველ მღვდლებს და ამ თხოვნაზე ხელს მომიწერთო". გაშალა ერთი ფურცელი ქაღალდი, რომელშიაც კავკასიის ოლქის სამასწავლებლო მზრუნველის, ბ. იანოვსკის სახელზე, სამურზაყანო და სამეგრელოს მღვდელთა და სოფლის სკოლების მასწავლებელთა მხრით (ვითომ) თხოვნა იყო შედგენილი — იმის შესახებ, რომ როგორც კაი ხნის გამოცდილებით დავრწმუნდით, მეგრულ ანბანებით შედგენილმა წიგნმა დიდი სარგებლობა მოუტანა ჩვენ სკოლებს და პირდაპირ მისი საშვალებით მეგრულიდან რუსულ ენაზე გადასვლა გაგვიადვილდაო; ამისთვის ნება დართულ იქმნეს ყოველ ჩვენ სკოლებში მიღებულ იქმნას ხსენებული სახელმძღვანელოო (ესე იგი „აშორდიული").**

ბოლოს ხელს აწერდნენ სამურზაყანოდამ სამი თუ ოთხი მასწავლებელი და იმდენივე მღვდელიც, ხოლო ზუგდიდის მაზრიდან — აწერდა ხელს ერთი მღვდელი. მე ვუპასუხე: 25-ს ამ თვეს აქ, ზუგდიდში კრება გვექნება მაზრის სამასწავლებლო რჩევის განყოფილებაში და იქ მოიტანეთ ეს არზა მეთქი. ამ დროს უცებ ჩემს მესაუბრეს ფერი წაუხდა და მოჰკურცხლა.

იმედია ბეჭდვითი ორგანოები ყურადღებას მიაქცევენ ამ არა სასიამოვნო მოვლენას და გააფრთხილებენ ჩვენს სამღვდელოებას და მასწავლებელთა, რომ საზოგადო საქმეს, და მეტადრე სკოლების შესახებ საქმეს ასე ადვილად — დამალულად და მოუფიქრებლად ნუ მოაწერენ ხელს, რომ მით მთავრობაც შეცდომაში არ შეიყვანონ. არავის არა აქვს უფლება, რომ ამისთანა დამზადებულ თხოვნებს ხელი მოაწერონ თავიანთ მღვდელმთავრების შეუტყობლად და ნება დაურთველად. ამისთანა სერიოზული საქმე უნდა ეკითხებოდეს ადგილობით მღვდელმთავარს და არა კერძო პირებს. რაც შეეხება აშორდიას, რომელიც სიყრმიდანვე შეუდგა პირადი სარგებლობის თაყვანისცემას, მას საზოგადო კეთილ დღეობაში ნიჭი და განათლება არ შესწევს. ის უნდა იკმაროს, რაც ზარალი ჩვენს სკოლებს დღემდის მისცა".

1899 წელს მღვდელ დიმიტრის მიერ გახსნილი სამრევლო სკოლა ორკლასიან სამინისტრო სკოლად გადაკეთდა და იმავე სკოლის გამგედ და საღვთო სჯულის მასწავლებლად დაინიშნა. ნაფიჩხოველი კირუშა პაპავა, რომელიც XX ს-ის 60-იან წლებში ნაფიჩხოვოს საშუალო სკოლის დირექტორად მუშაობდა, თავის მოგონებებში ამ სკოლის შესახებ სწერდა: **„შემდეგში, მან წმიდა გიორგის ეკლესიასთან ახლოს, საკუთარ მიწაზე, პირადი სახსრებით სკოლისათვის ააგო 35 მოსწავლისათვის გათვალისწინებული სამოთახიანი შენობა და თავიდანვე ამ სკოლას ამ რაოდენობის მოსწავლეებით თვითონ ინახავდა საკუთარი ხარჯებით. ამავე დროს მასწავლებლის მოვალეობასაც უსასყიდლოდ ასრულებდა. ეს სკოლა გასაბჭოების შემდეგაც არსებობდა და იწოდებოდა მეორე ომარტეს დაწყებით სკოლად, რომელიც გვიან დაშალეს და გამოიყენეს ნაფიჩხოვოს საშუალო სკოლის შენობისათვის. ის ტერიტორია, სადაც იდგა ნაფიჩხოვოს წმ. გიორგის ეკლესია და მასთან გახსნილი საეკლესიო-სამრევლო სკოლა, მოგვიანებით მომხდარი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ცვლილებების შედეგად შეუერთდა მომიჯნავე სოფ. კურზუს და ამჟამადაც მის შემადგენლობაშია".** 1899 წლის 6 მაისს კამილავკა ეწყალობა.

1901 წელს მღვდელმა დიმიტრიმ ტაძართან გახსნა ქალთა ერთკლასიანი სამრევლო-საეკლესიო სკოლა. ამ სკოლაში, რომელიც იმ მხარეში ერთადერთი იყო, სხვა სასწავლო დისციპლინებთან ერთად ასწავლიდნენ „ხელსაქმეს", სკოლაში საქსოვი დაზგაც კი გამართეს. „ხელსაქმის" მასწავლებლად ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე მუშაობდა ფოფოდია სალომე ბენდელიანი-ბერულავასი. 1903 წელს მღვდელი

დიმიტრი გაზეთ „მწყემსში“ სამადლობელ წერილს აქვეყნებს, სადაც ვკითხულობთ: **„მ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, რომ თქვენი პატივცემულ გაზეთ„მწყემსის“ საშუალებით, ჩემის და ჩემდამო რწმუნებული სკოლის შეგირდების მხრით, უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ ქ. ქუთაისში მცხოვრებთ: ვასილ ბეჟანეიშვილს, რომელმაც შემოსწირა რწმუნებულ ჩემდამო ნაფიჩხოვოს საქალებო სამრევლო სკოლასთან დაარსებულ წიგნთ-საცავს 73 ცალი ქართული წიგნები; წმიდა ნინოს სასწავლებლის მერვე კლასის მოწაფეს მარიამ მარგველაშვილს, რომელმაც ამავე წიგნთ-საცავს შემოსწირა 14 ცალი ქართულ-რუსული წიგნები. ღმერთმან ინებოს სხვებსაც მიებაძოთ ამათთვის, აღმოეჩინოთ შემწეობა ამ მივარდნილ კუთხეში და მიყრუებულ კავკასიის მთის ძირში დაარსებული სკოლის წიგნთ-საცავისათვის, რომელიც მეტად ღარიბია და დიდად საჭიროებს კეთილ პირთა ყურადღებას და დახმარებას“.**

1902 წლის 11 მაისს აღმზრდელობით დარგში ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის ქართული ბიბლიით დაჯილდოვდა. 1903 წლის 21 აგვისტოს ეპისკოპოსმა ალექსანდრემ (ოქროპირიძე) მწყემსმთავრული მადლობა გამოუცხადა. 1904 წლის 15 მაისს სამკერდე ოქროს ჯვარი მიიღო. 1909 წლის 15 მაისს წმ. ანას III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

მღვდელი დიმიტრი, გარდა იმისა, რომ ნაყოფიერად იყო ჩართული პედაგოგიურ და აქტიურ საზოგადო საქმიანობაში, იგი აქტიურად დაკავებული იყო სოფლის მეურნეობითაც. პრესის ფურცლებზე იგი ხშირად აქვეყნებდა თავის შეხედულებებს და აანალიზებდა სოფლად არსებულ სოციალურ სიდუხჭირის მიზეზებს და სახავდა მათი დაძლევის რეალურ გზებს. 1912 წლის ზაფხულში სამეგრელოს ეკლესიამონასტრები მოიღოცა და რევიზია ჩაუტარა გურიასამეგრელოს ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე), რომელმაც გულდასმით დაათვალიერა ტაძრები, დეტალურად შეისწავლა იქ არსებული პრობლემები და ყველგან ქადაგებით და მამობრივი დარიგებებით მიმართა მრევლს. ეს მოგზაურობა სრულად აღწერილია სასულიერო გაზეთ „შინაურ საქმეებში“. აი, რას ვკითხულობთ იქ: **„სოფ. თაიიდან მისი მეუფება გადაბრძანდა ალავერდის საბლაღოჩინო ოლქში. მზე ჩაწურული იყო, რომ ახალ ოლქის პირველ მრევლში, სოფ. ნაფიჩხოუში მივედით. ათასამდე ქალი და კაცი უცდიდა ძვირფას სტუმარს. გალავანში შესვლისთანავე მღვდელმთავარს მიეგება ადგილობრივი მღვდლის შვილის, თბილისის სემინარიის მოსწავლე, ბ. ბერულავასაგან გაწყობილი მგალობელთა გუნდი, „ისპოლლას“ თქმით და მერე წმიდა გიორგის ტროპრის გალობით წინ გაუძღვა ეკლესიისკენ. ეკლესიის კარისბჭეში მის მეუფებას შეხვდა მთელი საბლაღოჩინო ოლქის სამღვდელოება მღვდელ დიმიტრი ბერულავას მეთაურობით,**

მღვდელი დიმიტრი ბერულავა

რომელმაც მრევლის და კრებულის სახელით მიართვა მის მეუფებას მაცხოვრის ხატი და თან მიმართა მას შემდეგი სიტყვით: „ყოვლად უმოწყალესო მწყემსმთავარო და მამაო! ეს ტაძარი მღვდელმთავარმა რომ აკურთხა, იქნება ოცდათუთხმეტი წელიწადი. ძვირად იქნება ისეთი შეკრებილება ამ მხარეში, სადაც სიხარულით არ მოუთხრობდნენ მაშინდელ და შემდეგ იმისა ამ ტაძარში მღვდელმთავართა მობრძანების ამბავს. დღეს რომ გაიგეს თქვენი მეუფების მობრძანება ყველამ თავი დაანება თავიანთ საჩქარო საქმეებს და გამოეშურნენ ეკლესიისკენ. დღეს მათი საცხოვრებელი ბინა ცალიერია, გარნა ტაძარი ესე სავსეა. მათ უყვართ ეკლესია, პატივს ცემენ მის წმინდანებს, ნივთიერად ღარიბნი, ისინი არიან სარწმუნოებით მდიდარნი. მათ სწყურიან თქვენი მეუფებისაგან სიტყვის მოსმენა, მათ სწურიათ თქვენი მეუფებისაგან ლოცვაკურთხევის მიღება. დღეს ჩვენთან ერთად სულიერად დღესასწაულობენ ჩვენი მიცვალებულნიც, რომ მათ ეკლესიაში ბრძანდება ყოვლადსამღვდელო. შემდეგ ამისა ყველანი ჩვენ თავს ვრაცხთ მეტად ბედნიერად, რადგან თქვენმა მეუფებამ პირადად ინახულა ჩვენი სოფელი, რომლის ყოველნაირ საჭიროებას და ნაკლულევანეობას მარტო ერთის შეხედვით შენიშნავს თქვენი მეუფების ბრძნული გონება, რომლის გამო ვიმედოვნებთ ჩვენი ეკლესიის და შკოლების საქმის მსვლელობის დროს

დეკანოზი დიმიტრი ბერულავა მეუღლესთან ერთად

ვითარებული მიმდინარეობდეს კეთილ-ქრისტიანულ მიმართულებით და ვღირსებოდეთ თქვენი მეუფების აქ მობრძანებას მრავალჟამიერ". შემდგომად ამისა, თავად ეპისკოპოსმა ლეონიდემ წარმოსთქვა ვრცელი ქადაგება, დალოცა და აკურთხა მრევლი და სამღვდელოება. ეკლესიას აკლია ბევრი სამკაული და დასახურავ-გასაკეთებელია შიგნითაც და გარეთაც. ღამის გასათევად მისი მეუფება მიიწვია მამა დიმიტრიმ. ყოვლად სამღვდელომ გულდადებით დაათვალიერა მამა ბერულავას კარ-მიდამო და მეტად ნასიამოვნები დარჩა ამ მღვდლისაგან გაშენებული თხილის პლანტაციით და ნამყენი ვენახით; დიდათ მოუწონა მამა ბერულავას მეურნეობის სიყვარული და ბეჯითად დაავალა მომავალშიაც თავგამოდებით გაგრძობა ასეთი შრომისა სხვების სამაგალითოდ და გამოსაფხიზლებლად".

1914 წლის 29 ივლისს დედაეკლესიაში 25-წლიანი ერთგული და თავდადებული სამსახურის გამო მას დეკანოზის წოდება მიენიჭა. დეკანოზი დიმიტრი 1915 წლის 27 აპრილს გარდაიცვალა (საგაზეთო ვერსიით — 15 თებერვალს). მის ოჯახს 1915 წლის 20 ნოემბერს წელიწადში 300 მანეთი პენსია დაენიშნა. მეუღლე - სალომე ნიკოლოზის ასული ბენდელიანი (დაბ. 27.05.1871წ.), შვილები: **გაბრიელი** (დაბ. 8.11.1891წ. დაამთავრა პეტერბურგის „ხაზაისტვენი" სასწავლებელი); **ოლღა** (დაბ. 8.11.1891წ., სოხუმის ქალთა გიმნაზიის პედაგოგი); **თეოდორე** (დაბ. 15.01.1899წ.); **ნადეჟდა** (დაბ. 1.09.1900წ.); **გიორგი** (დაბ. 3.11.1903წ.).

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 488, აღწერა 1, საქმე 812; ფ. 489, აღწერა 1, საქმე 40413; საქმე 41597; საქმე 53056; საქმე 57620; საქმე 59549; გაზეთი „მწყემსი" 1896წ. 11, გვ. 12; 1899წ. 22, გვ. 8; 1903წ. 6, გვ. 15; Журнал „Духовный вестник Грузинского Экзархата" 1895წ. 9; 1896წ. 13; 1899წ. 10; 1902წ. 12; 1904წ. 10; გაზეთი „შინაური საქმეები" 1912წ. 18-19, გვ. 7-8; 20, გვ. 5; Журнал „Вестник Грузинского Экзархата" 1914წ. 10; 17; ჟურნალი „სამეგრელო" 2012წ. 20, გვ. 24-26.

თქვენი მეუფება გაგვიწევს მფარველობას. ყოვლად უმოწყალესო მეუფეო! ჩვენთვის ეკლესიის მსახურთათვის თქვენი მეუფების მობრძანება დიდი სასიხარულოა. ის გვანუგეშებს წასრულ შრომისათვის, გვამხნევებს მომავლისათვის, გვიმტკიცებს რომ ჩვენ ჩვენი მძიმე მოვალეობის აღსრულებაში მარტონი არა ვართ, ჩვენ გვყავს მღვდელმთავარი, რომლისადმი შეგვიძლია მივიქცეთ რჩევა-დარიგებისათვის და რომლისათვის ძვირფასია თითოეული სულიერი ინტერესი თავის სამწყსოისა. ნიშნად განუსაზღვრელისა სიხარულისა და სიყვარულისა კრებულნი და მრევლნი ამა ეკლესიისა ამასთან მოვართმევთ თქვენს მეუფებას ხატსა, მასზედ გამოსახული ქრისტე მაცხოვარი ფარვიდეს ჩვენს სასიქადულო თქვენს მეუფებას. ილოცეთ, ყოვლად უმოწყალესო მეუფეო, ზეციერ მღვდელმთავრის ტრაპეზის წინაშე, რომ ცხოვრება ადგილობრივ მკვიდრთა თანდათანობით გან-

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი: LBRTGE22.
ანგარიში: № GE57LB0115123530407000. სახაზინო კოდი — 45 01 56.
9 772587 506008
რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა:
bokuchavanana1@gmail.com.
მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41
რედაქტორის მოადგილე: **ნანა ბოკუჩავა** ტ: 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაძვილი, თამარ ასათიანი, დიაკონი გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბუღალტერი: ვლასი ჯიბლაძე; გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი

ლება, საჭიროა ადამიანური შეხედულება საგანზე, საჭიროა ამაღლება მდაბიო, ცხოველურ მოთხოვნილებებზე. საჭიროა შეგნება, რომ ჭამა და სმა კი არ არის ადამიანის დანიშნულება, რომელსაც მშვენივრად ასრულებენ ცხოველები, არამედ სულის ძალების განვითარება, ზნეობრივი სიმაღლე, რომლის უმისოდ კუჭი ვერასოდეს ვერ იგრძნობს კმაყოფილებას.

ამ აზრის მიხედვით, ჩვენი გამოცემა განსაკუთრებით არც ერთ პარტიას არ მიემხრობა. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ იგი ერთბაშად უარყოფს ყველაფერს, რასაც რომელიმე პარტია აღიარებს. ყველა პარტიას აქვს თავისი კარგი და ცუდი მხარე. ყველას საერთოდ უპყრია სიმართლე, მხოლოდ ეს სიმართლე დამახინჯებულია პარტიული ფანატიზმით. გარეცხეთ ამ პარტიული ფანატიზმისაგან იგი და თქვენ დაგრჩებათ ხელში სრული სიმართლე, „ვით მარგალიტი ობოლი, ხელიხელ საგოგმანები."

ნაკლულევანების ძმური მხილება და საუკეთესო მხარეების გამომზიურება, ათასგვარ პარტიებში „ობოლი მარგალიტის" ძებნა, — აი, რა პოზიციას დაიჭერს ჩვენი გამოცემა სხვადასხვა პარტიათა შორის. თუ არ ვსცდებით, ხალხსაც მობეზრდა სხვადასხვა პარტიებში ბოთიალი, ეხლა სწყურია მხოლოდ მათი მეცნიერულად დაფასება. გარდა ამისა, მას არ დავიწყნია თავისი ფილოსოფიური საკითხები: საიდგან მოვედით? სად მივდივართ? მას ისევ ისე აღაფრთოვანებს მეცნიერება, იგი ისევ ისე ეძებს სამარადისო ჭეშმარიტებას და დღესაც ამ ქვეყანას „წუთისოფელს" უწოდებს.

ჩვენი გამოცემა ყურადღებას მიაქცევს ამ ადამიანურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, რომელზედაც, სხვათა შორის, დამოკიდებულია ამ წუთისოფლის ბედნიერებაც.

ისტორიის ფურცელი

მღვდელი ნიკიფორე ბარაბაძე

„მის გულში ანთებული იყო და არის ლამპარი შრომისა და მოღვაწეობისა"

მღვდელი ნიკიფორე იოსების ძე ბარაბაძე 1874 წელს ქუთაისის გუბერნიაში, ქუთაისის მაზრაში, სოფ. საწულუკიძეოში, გლეხის ოჯახში დაიბადა. სწავლობდა ჯერ სასულიერო სასწავლებელში, ხოლო 1893 წელს წარჩინებით დაასრულა თბილისის სასულიერო სემინარია. 1894 წლიდან დაიწყო აქტიური პედაგოგიური მოღვაწეობა. 1894-1896 წლებში იყო მათხოჯის სამრევლო-საეკლესიო სკოლის მასწავლებელი. 1896 წლის 2 სექტემბერს ახლადგახსნილი კიწიის ორკლასიანი სამრევლო-საეკლესიო სკოლის უფროს მასწავლებლად დაინიშნა. ამასთან დაკავშირებით, 1896 წლის დეკემბერში ახალგაზრდა პედაგოგი გაზეთ „მწყემსის" ფურცლებზე წერდა: *„სენაკის მაზრაში, სოფელს კიწიაში, თანახმად უწმინდეს სინოდთან არსებული სამასწავლებლო საბჭოს გადაწყვეტილებისა, გაიხსნა ორკლასიანი სამრევლო სკოლა. უნდა აღვნიშნოთ, რომ სწორედ საჭირო იყო ამ სოფელში სკოლის გახსნა, რადგან ეს სოფელი არის ერთი ყრუ-მიგდებული შუა-სოფელთაგანი, რომელსაც, ირგვლივ გარს არტყია მრავალი საზოგადოება, რომელთა მკვიდრნი მოკლებულნი არიან როგორც ზნეობრივ, ისე გონებით სწავლა-განათლებას და თანაც ეს ზემოხსენებული სოფელი თავისი მდებარეობით და ჰავით სხვა მახლობელ სოფლებს ბევრით სჯობია. ყოვლადუსამღვდელოესის გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის გრიგოლის განკარგულებით სოფელს კიწიაში 21 ენკენისთვეს მობრძანდა საეკლესიო-სამრევლო და წერა-კითხვის სკოლების ზედამხედველი სტ. სოვ. უ. თ. დ. ჟორდანია, რომელმაც მოხსენებული სასწავლებლის ხელმძღვანელის, მ. ბლაღოჩინი კოდრატე ჩაჩიბაიასი და ერთი მასწავლებლის თანდასწრებით გამოსცადა მისაღები ყმაწვილები. 169 მთხოვნელთაგან იქმნა მიღებული 110. ამავე თვის 22, დღით კვირას, შემდეგ ლიტურგიის შესრულებისა და პარაკლისის გადახდისა აკურთხეს სკოლის დროებითი შენობა დიდი საზოგადოების თანადასწრებით. 2 ენკენისთვიდან უკვე დაიწყო სწავლა ამ სკოლაში. ჩვენ მოკლედ მოვიხსენებთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ სკოლის დაარსებას აქაურ მიყრუებულ კუთხეში. კიწია, თავისი მახ-*

ლობელი სოფლებით, თითქმის მაზრის ნახევარ ნაწილს შეადგენს; ეს სოფელი შამოკალათებულია აღმოსავლეთ-დასავლეთ ტიტველი გორაკებით, ჩრდილოეთით კი ისაზღვრება დიდი მთებით. ამ გვარად ეს მთა-გორიანი კუთხე სენაკის მაზრისა თავისი მდებარეობით, თითქმის მოშორებულია სამეგრელოს ზოგ განათლებულ კუთხეებს და ამ-გვარად წარმოადგენს ერთ ფარგალშიდ მომწყ-ვდეულ სოფლებს, რომელთათვის სწორედ რომ საჭირო იყო ასეთი სკოლა. რა უშავს იმ სოფელს, რომელსაც რამოდენიმე ვერსის მანძილზე ახლავს დაბა, რომელშიაც რამდენიმე სკოლა მოეპოვება, ან ქალაქი, რომელიც სწავლა-განათლების აკვა-ნია; ან რა უშავს იმ გვარი სოფლების მცხოვრებთ, რომელთაც გზა-ტკეცილი აქვსთ ახლოს ან რკინის გზა! ამათ ყოველგვარი საშვალება ხელთ აქვთ, რომ შეიძინონ სწავლა-განათლება, თუ კი მისდამი წყურვილი მათში აღძრულია. მაგრამ რა ჰქნას იმ გვარი სოფლების მცხოვრებთა, რომელნიც მოკ-ლებულნი არიან ყოველ ზემოხსენებულ საშუალე-ბათ; არ უნახავსთ სწავლის ნაყოფი, რის გამო არც ესმით უდიადესი სარგებლობა განათლებისა, რო-მელთა სულს და გულს არ იზიდავს სწავლის საქ-მე და გულ-გრილად შესცქერიან, როგორც სკო-ლის გახსნას, ისე მისს გაუხსნელობას. მკითხველს თვითონ უნდა ქონდეს ნახული და ცოტათი მა-ინც გაცნობილი ეს სამეგრელოს კუთხე, რომელ-საც ჯერად ხვდა ორ-კლასიანი სამრევლო სკოლა რომ ჯეროვნად დააფასოს უაღრესი სარგებლო-ბა ამ სკოლისა, სახელდობრ ამ ადგილისათვის. აი ამიტომაც მოვიხსენე ნამდვილი გარემოებანი კიწიასი, რომ გამოვხატო შემდეგი აზრი: ზემოხ-სენებული მიზეზებისა გამო, უმეტესი ნაწილი ამ საზოგადოებისა (მდაბიო ხალხი), მოკლებული სწავლა განათლებასა, ჯერ-ჯერობით ნამდვილათ ვერ დააფასებს ამ კეთილ საქმეს და მით უმეტეს მისს მერმისს — შედეგს. მაგრამ ადგილობრივი მკვიდრნი კი, რომელთაც ესმისთ ჯეროვანი მნიშ-ვნელობა ამ სკოლისა, მათი დაქვეითებული მოძ-მეთა აღსადგენად, მუხლ-მოყრით ილოცვიდნენ ღმერთს იმათი კეთილდღეობითი და მრავალჟა-მიერი ცხოვრებისათვის, ვისიც მეოხებით არის ამ გვარი წყალობა მათზედ მოვლინებული; მად-ლობას უნდა სწირავდნენ ღმერთს, რომ გვყანან მმართველობის სათავეშიდ იმისთანა ღირსოვანნი პირნი, რომელთაც წარმოდგენილი აქვთ მთელი სახელმწიფოს გაჭირვებანი და საშუალებისა გვა-რად ეშველებიან მათ. დიახ, ასე უნდა მოიქცნენ შეგნებულნი პირნი ამ საზოგადოებისა და ყოველ ფრად ხელი მოუმართონ, მათთვის მინიჭებული სკოლის საკეთილდღეოთ და მერმისი წარმატები-სათვის; ეს მათთვის ნორჩი ბავშვი ისე აღზარდონ, გაამაგრონ, რომ შეიძლოს მისდამი მითვისებული ტვირთის ტარების შესრულება და ბოლოს უნდა მოვიხსენოთ, სასახელოდ ამა კიწიის საზოგადო-ებისა: ადგილობრივ მკვიდრთ, მიუხედავათ თა-ვისი უკიდურესი მატერიალური მდგომარეობისა, უფასოთ დაუთმეს ამ სკოლას ეზო-ფერმისათვის თორმეტი ქცევა სახნავ-სათესი მიწა და ფულათ ათასი მანეთი სკოლის სამუდამო შენობისათვის. აგრეთვე უფასოდ დაუთმო ამ საზოგადოებამ სკო-ლას ოთხ-ოთახიანი სადგომი".

1898-1900 წლებში ნიკიფორე მარტვილის ორკ-ლასიანი სასწავლებლის პედაგოგია. 1900 წლის 19 ნოემბერს იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქ-როპირიძე) იგი დიაკვნად აკურთხა, იმავე წლის 21 ნოემბერს მღვდლად დაასხა ხელი და მათხოჯის წმ. ბასილი დიდის სახ. ტაძარში განამწესა. 1900-1904 წლებში მათხოჯის სამრევლო-საეკლესიო სკოლის გამგეა. ახალგაზრდა მოძღვარმა მათხო-ჯის სკოლაშიც გამოიჩინა თავი. მისი მოღვაწე-ობა შეუმჩნეველი არ დარჩენილა ქართული პრე-სისათვის. 1903 წელს გაზეთ „ივერიაში" უცნობი ავტორი ფსევდონიმით „სანდრო რიონ-გალმელი" წერდა: „... მათხოჯში სამრევლო სკოლა დაუარსე-ბიათ ათის წლის წინად; დაუდგამთ პატარა სახლი და დაუწყვიათ სწავლა. ძლიერ ცუდ მდგომარეო-ბაში ყოფილა სკოლა 1901 წლამდის. მოცოცხლ-და ეს სკოლა მხოლოდ მაშინ, როცა აქ მღვდლათ აკურთხეს ამ სოფლის შვილი ნიკიფორე ბარაბაძე (სემინარიელია). ბარაბაძე ენერგიულად შეუდგა ამ სკოლის აღდგენას. სამოსწავლო საბჭომ მისცა ოთხასი მანეთი შენობის ასაგებად. დაიწყეს შენო-ბა და ააგეს კიდეც. დაიხარჯა შენობის აგებისათ-ვის სულ 1100 მანეთამდე. მღ. ნ. ბარაბაძემ, რო-გორც იყო, ოც თუმნამდის შეაგროვა თავის მრევ-ლში, დანარჩენი კი თავის საკუთარი ფული დახარ-ჯა. ფულის დახარჯვის გარდა ეს მოძღვარი, რო-გორც უბრალო მუშა, ისე ეხმარებოდა ოსტატებს სილისა და კირის ზიდვაში; არ ისვენებდა დღე და ღამ. მის გულში ანთებული იყო და არის ლამპარი შრომისა და მოღვაწეობისა. იღვწოდა რა ახალ შე-ნობის აგებისათვის, თან გულმოდგინედ ასწავლი-და ბოვშვებს ნაქირავებ სახლში. როგორც იყო, და-აყენა სკოლა კარგ ნიადაგზე; შენობაც კარგათაა მორთული; ბოვშვებიც ასამდეა, სწავლებაც რიგი-

ანია. გახსნა პარალელური განყოფილება და ასწავლის თვითონ. მოაწყო საქმე ისე, რომ მომავალ წლისთვის ორკლასიანად გადაკეთება შეიძლება. მაგრამ, სამწუხაროდ ჩვენდა, როგორც გავიგეთ, გადაყვანას უპირებენ სხვა უკეთესს ადგილზე. თუ ეს ხმები გამართლდა, მაშინ მათხოჯის სამრევლო სკოლას ბევრი დააკლდება".

მართლაც, მალევე, 1904 წლის 21 აგვისტოს მღვდელი ნიკიფორე საწულუკიძეოს (ზედა ხონი) წმ. კვირიკესა და ივლიტას სახ. ორშტატიანი ტაძრის წინამძღვრად გადაიყვანეს. იმავე წლის სექტემბრიდან საწულუკიძეოს სამრევლო-საეკლესიო სკოლის გამგეა. სამწუხაროდ, ქართულ პრესაში მღვდელ ნიკიფორეზე დადებითი წერილების გარდა, გვხვდება უარყოფითი სტატიებიც. 1908 წლის 27 აპრილს იუმორისტულ ჟურნალ „ეშმაკის მათრახში" უცნობი ავტორი - ფსევდონიმით „შენი ეშმაკუნა", მის შესახებ წერდა: *„მღვ. ნიკიფორე ბარაბაძეს, ს. საწულუკიძეოში, ვინაიდან დრამისათვის პოლიციაში სიარულმა ერთობ დაასუსტა..."* - ამ წინადადებით აღშფოთებული მოძღვარი იმავე ჟურნალ 32-ში რედაქტორს ცრუ კორესპონდენტის გამჟღავნებას სთხოვდა: *„ბ. რედაქტორო, თუ შეიძლებოდეს უკან დაიბრუნეთ თქვენი სპერმაკუდინი (მგონი 30 წვეთი უნდა იყოს), რადგან იგი ყალბია, მთლად სიცრუეა. ჯაშუშზე მეტის ღირსია თქვენი კორესპონდენტი, რომელიც თავისი არეული ჭკუის ნაყოფს ფაქტათ ასაღებს. ამგვარი მოქმედება რამდენიმეთ უსაქმობის შედეგიც არის, კიდევ არაფერი, რომ ასეთი ჭორი, განზრახ შეთხზული სიცრუე მხოლოთ ეთქვა: არა, იმდენი თავხედობაც შესწევს, რომ სტამბავს ისეთ ცნობას, რომელსაც არავითარი გასამართლებელი მხარე არ აქვს. უკაცრავად, მე არ ვარ დასუსტებული და, მით უმეტეს, საპოლიციო სამმართველოში სიარულით და ისიც დრამისთვის. საქმის ვითარება შემდეგ გამოირკვევა, მხოლოთ ეხლა გთხოვთ, კანონიერი საშუალება მოგვეცით, გავსწორდეთ მე და თქვენი კორესპონდენტი (აგენტი) სამედიატორო სამართლით. მან უნდა დამიმტკიცოს მის მიერ გამოქვეყნებული ცნობა თქვენს ჟურნალში მოთავსებული და უკეთუ ის ამაზე თანახმა არ იქნება, მაშინ თქვენ იქნებით პასუხისმგებელი".* უცნობმა *კორესპონდენტმა* არ დააყოვნა და *34-ში* პასუხი *გასცა* მამა ნიკიფორეს: *„თქვენი „ეშმაკის მათრახის" 32-ში მოთავსებულია ათი სასაყვედურო წერილი, ცხრა მათგანი ერის კაცისაა, ერთი კი ხუცის ნიკიფორე ბარაბაძის, რომელსაც ლანძღვა-გინებაში, როგორც წერილიდან ჩანს, ვერც ერთი ერის კაცი ვერ შეედრება. დანარჩენი ცხრა წერილი რომ შეაერთოთ ერთად, იმდენი ლანძღვა არ იქნება, რამდენიც ამ ავყია ხუცესს უკადრებია, მარა, რა ვუყოთ, აბა, რით უნდა გაირჩეს ერის კაციდან? „კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდების" — ეს ერთი. მეორე ის წერს 30 წვეთი სპერმაკუდინი მომაწოდეთო. საიდან სადაო, წმინდა საბაო? მე აკი განსაზღვრული წვეთები არ მიმინოდებია მისთვის (ალბათ ხუცებზე 30 წვეთი მოქმედებს! ЭТО НАДО ЗАПОМНИТЬ!). მესამე — მიკვირს, რათ არ ასახელებს მედიატორეებს, „ისიც დრამისათვის" პოლიციაში არ მოსიარულე ხუცესი? წინადადება მიეცით, დანიშნოს თავის მედიატორე (მე მასთან პირადათ მოლაპარაკების სურვილი არა მაქვს) და თან დათანხმდეს, რომ განაჩენი გაზეთში გამოქვეყნდეს. მე, ჩემის მხრით, მედიატორეთ ვასახელებ ნიკო გიორგის ძე ჩიმაკაძეს. ვნახოთ, მღვდელი ნიკიფორე რას იტყვის!" მღვდელმა ნიკიფორემ 36-ში თავისი მედიატორიც დაასახელა, იგი წერდა: „ბ-ნო „ეშმაკუნო"! რადგან თქვენ ნ. გ. ჩიმაგაძე დაასახელეთ, მეც სიამოვნებით ვეგებები თქვენს არჩევანს და, ჩემის მხრით, ვასახელებ ლონგინოზ ანტონის ძე ჩიმაგაძეს. მეზობლები არიან, მისვლა-მოსვლაში დრო არ დაეკარგებათ და მით უბრალო შრომა აცდებათ. რასაც მედიატორეები დაადგენენ, განაჩენი გამოქვეყნებული იქნება, ამაზე ეჭვიც არ უნდა გქონდეთ. აი, ეს ინება თქვენგან აწუნებულმა, ეშმაკუნო, ნიკიფორე ხუცესმა".* აი, აქ მთავრდება ეს პოლემიკა. ჩვენთვის უცნობია, თუ რით დამთავრდა მამა ნიკიფორეზე ეს ცილისმწამებლური კამპანია. ფაქტი ერთია, რომ არც ძველ მოძღვრებს ჰქონიათ მოსვენება იმ პერიოდში მოღვაწე ცრუ ჟურნალისტებისაგან.

1922 წლის ივნისში კომუნისტების მიერ ეკლესიებში არსებული ქონების საყოველთაო აღწერის დროს მღვდელი ნიკიფორე ისევ საწულუკიძეოს ტაძრის წინამძღვრად იხსენიება. 1922/1923 წლებში და 1924 წლის აგვისტოს გამოსვლების დროს ხელისუფლებამ მრავალი სასულიერო პირი დახვრიტა, ზოგიც ამ ამბის შემხედვარე შეშინდა და უარი თქვა მსახურებაზე. მათ რიცხვში იყო მღვდელი ნიკიფორეც, რადგან 1926 წლის 17 თებერვალს შედგენილ საქართველოს ეკლესიის ქუთაის-გაენათის ეპარქიის სასულიერო პირთა ჩამონათვალში იგი აღარ იხსენიება მოქმედი სამღვდელოების რიგებში. მართლაც, საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში დაცულ საბუთებში ჩანს, რომ მან 1923 წელს გაიხადა ანაფორა და პედაგოგად დაიწყო მუშაობა.

მღვდელი ნიკიფორე ბარამიძე და მათხოჯის მონასტრის წინამძღვარი, მონაზონი სალომე (ბახტაძე)

1928 წლის 30 ივლისს ყოფილი მღვდელი ნიკიფორე ბარაბაძე ქუთაისის მაზრის აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილებას წერდა: *„1894 წლიდან, თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ, 1901 წლამდე სოფლის მასწავლებლად ვმსახურობდი იმერეთ-სამეგრელოში, 1901 წლიდან მღვდლად და თან მასწავლებლად სამრევლო და სამინისტრო სკოლებში ნახახულევის თემის ფარგლებში; 1918 წლიდან ვსწავლობდი საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტში და 1923 წლის 1 ოქტომბრიდან დღემდე ვმასწავლებლობ ქ. ხონის ცხრაწლედში და პედ. ტექნიკუმში, ასე რომ, სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, მცირე ხნის გამონაკლისის გარდა, მთელი ჩემი სიცოცხლე გამიტარებია ნახახულევის თემის ფარგლებში. ჩემდა სამწუხაროდ, მე არ ვფიქრობდი, თუ საჭირი იყო პირადად ჩემგან შუამდგომლობის აღძვრა ხმის უფლების მონიჭების შესახებ და ამ შეხედულებას ვამყარებდი იმ მოსაზრებაზე, რომ სამსახურში ვარ, ვითვლები პროფკავშირის წევრად, განათლების მუშაკთა კავშირში და სხვ. გარდა ამისა, ამ საკითხის ჩემგან დღემდე უყურადღებოდ დატოვება გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ: საცხოვრებელი ბინა მაქვს სოფ. საწულუკიძეოში — ნახახულევის თემის განაპირას, სამსახური კი ქ. ხონში. თუ რამე მოთხოვნილება იყო სათემო ხასიათის, მას ვასრულებდი და ვიხდიდი გადასახადს თემის ფარგლებში, მხოლოდ სამსახურის გამო, როგორც პროფკავშირის, ისე სხვა კრებებს, ვესწრებოდი ქ. ხონში. ამისათვის, რადგან ასე დამიგვიანდა ჩემი დაუდევრობის გამო, ხმის უფლების აღდგენა — ქუთაისის მაზრის აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილებას ამით ვსთხოვ, შეკრიბოს საჭირო ცნობები ამ საკითხის გამო ჩემს შესახებ და, თანახმად მიღებული ცნობებისა, თუ ადგილობრივი ხელისუფლება საწინააღმდეგო არაფერს ნახავს, იმ შემთხვევაში აღმიდგინოს მე ხმის უფლება“.* თავის მხრივ, 1928 წლის 2 აგვისტოს ქუთაისის აღმასრულებელმა კომიტეტმა მოითხოვა ზუსტი ცნობები მთხოვნელის ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, აგრეთვე, რამდენი ხანია რაც ბარაბაძემ დატოვა მღვდლობა და იმყოფება საბჭოთა სამსახურში. იმავე წლის 7 ოქტომბერს შესდგა ნახახულევის თემის საბჭოს სხდომა, სადაც დაადგინეს: *„ნახახულევის თემის საბჭოს, არავითარი საწინააღმდეგო არა აქვს ნიკიფორე ბარაბაძის უფლებებში აღდგენის შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ ჩადენილი მის მიერ სისხლის სამართლის დანაშაული - ადგილის გაყიდვა, მისცემს მას ამის უფლებას“.* 1928 წლის 17 ნოემბერს, ქ. ხონის სახალხო სასამართლომ — თავმჯდომარე ე. ფრუიძე, სახალხო მსაჯულნი: ვლ. ბახტაძე, ანა ფარცხალაძე, — მოისმინა და განიხილა რა საქმე ბრალდების გამო ნიკიფორე ბარაბაძისა და ნიკო და ნესტორ ბენიძეებისა, გათვალისწინებული ს. ს. კ. მუხ. 182, მათ ბრალად ედებოდათ ადგილის ყიდვა-გაყიდვა, სადაც დაადგინეს: *„ბრალდებულებმა თავი დამნაშავედ სცნეს და განაცხადეს, რომ ბარაბაძემ მიყიდა ადგილი ბენიძეებს. ძიებით გამოირკვა, რომ 1925 წლის იანვარში ბენიძეებმა იყიდეს ადგილი ბარაბაძისაგან, ამისთვის შეეფარდოს მათ სოც. დაც. ღონისძიება ექვს-ექვსი თვის ვადით, მაგრამ თანახმად საკავშირო ც. აღ. კომიტეტის პრეზიდიუმის 1927 წლის 2 ნოემბრის*

მღვდელი ნიკიფორე სკოლის პედაგოგებთან და მოწაფეებთან

დადგენილებისა, სოც. დაც. ღონისძიებებისგან იქნენ განთავისუფლებული. აგრეთვე, ჩამოერთვას ბენიძეებს ბარაბაძის მიერ მიყიდული ადგილი - საეზოვე ერთი ქცევა ანუ რაც არის - და გადაირიცხოს ქუთ. მაზრ. სახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდში". ქუთაისის სამაზრო აღმასრულებელმა კომიტეტმა უარი უთხრა ნიკიფორე ბარაბაძეს ხმის აღდგენაზე და ოქმში ასეთი მინაწერი გააკეთა: *„ყოფილი მღვდელი მიწის გაყიდვას ეწევა და არა საზოგადოებრივ შრომას. უარი ეთქვას".* 1941 წლის 20 ივნისს ყოფილი მოძღვარი ცოცხალია, რადგან იხსენიება თავისი ცოლისძმის, დიმიტრი კონსტანტინეს ძე ლაკერბაიას ნეკროლოგში. ამ ეტაპზე,მისი გარდაცვალების წელი უცნობია.

დაჯილდოებული იყო: 1903 წელს — საგვერდულით, 1909 წელს — სკუფიით,1915 წელს — კამილავკით.

მეუღლე ივდითი მათეს ასული მელაძე (გარდ. 1963წ.) და შვილები: **ელისაბედი** (დაბ. 15.08.1896წ.), **თამარი** (დაბ. 2.11.1899წ.), **ლეონიდე** (დაბ. 13.05.1891წ.), **ვალერიანი** (დაბ. 20.02.1903წ.), **მარიამი/მანია** (დაბ. 1905წ.), **კორნელი** (დაბ. 3.03.1907წ.), **იოსები** (დაბ. 17.10.1911წ.); **ეთერი.**

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 489, აღწერა 1, საქმე 57656; საქართველოს უახლესი ისტორიის სახელმწიფო ცენტრალური არქივი, ფ. 284, აღწერა 1, საქმე 55; საქმე 612; Журнал „Духовный вестник Грузинского Экзархата" 1893წ. 13; გაზეთი „მწყემსი" 1896წ. 23-24, გვ. 13-14; გაზეთი „ივერია" 1903წ. 258, გვ. 2; ჟურნალი „ეშმაკის მათრახი" 1908წ. 27, გვ. 7; 32, გვ. 15; 34, გვ. 14; 36, გვ. 15; Журнал „Вестник Грузинского Экзархата" 1915წ. 10; გაზეთი „საბჭოთა აფხაზეთი" 1941წ. 143, გვ. 4; გაზეთი „თბილისი" 1963წ. 202, გვ. 4.

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი: LBRTGE22.
ანგარიში: № GE57LB0115123530407000. სახაზინო კოდი — 45 01 56.
9 772587 506008
რედაქტორის მოგზავნილის ელ.ფოსტა:
bokuchavanana1@gmail.com.
მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს
საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41
რედაქტორის მოადგილე: **ნანა ბოკუჩავა** ტ: 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, დიაკონი გიორგი მაჩურიშვილი, ია ბაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბუღალტერი: ელასი ჯიბლაძე;
გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე;
დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი

ისტორიის ფურცელი

მღვდელი ალექსანდრე დავითაშვილი

1869-1910

მღვდელი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე დავითაშვილი 1869 წლის 13 აპრილს გორის მაზრაში, მღვდლის ოჯახში დაიბადა. დაამთავრა თბილისის სასულიერო სასწავლებლის ორი კლასი და 1891 წლის 31 მაისს ჩააბარა გამოცდები თბილისის სასულიერო სემინარიასთან არსებულ კომისიას პედაგოგის მოწმობის მისაღებად. 1891-1900 წლებში იგი აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა. 1891 წლის სექტემბრიდან მოხისის ტაძართან დააარსა ერთკლასიანი სამრევლო სკოლა, რომელსაც რუისის ოლქის სამღვდელოებამ 13 მანეთი შესწირა. ამის გამო, 1891 წლის 4 დეკემბერს ალექსანდრემ გაზეთ „ივერიის" ფურცლებზე მათ დიდი მადლობა გადაუხადა. 1896 წლის სექტემბერში როკის სამრევლო-საეკლესიო სკოლაში გადაიყვანეს. 1897 წლის სექტემბრიდან ვანათის სამრევლო-საეკლესიო სკოლის პედაგოგად დაინიშნა.

1900 წლის 26 სექტემბერს გორის ეპისკოპოსმა კირიონმა (საძაგლიშვილი) დიაკვნად აკურთხა, იმავე წლის 1 ოქტომბერს მღვდლად დაასხა ხელი და იქსორლისხევის მაცხოვრის ამაღლების სახ. ტაძარში განამწესეს. 1901 წლის 16 ივნისს ღოღეთის წმ. თომა მოციქულის სახ. ტაძარში გადაიყვანეს. 1902 წელს გაარემონტა ღოღეთის ტაძარი და ამის გამო, საქართველოს ეგზარქოსმა ალექსიმ (ოპოცკი) მწყემსმთავრული მადლობა გამოუცხადა. 1904 წლის 24 თებერვლიდან წრომის მაცხოვრის ამაღლების სახ. ტაძრის წინამძღვარია. 1905-1906 წლებში, რუსეთის პირველი რევოლუციის დროს, რომელიც საქართველოშიც მძვინვარებდა, რამდენიმე სასულიერო პირი შეიწირა. ზოგი დააყაჩაღეს ან გაძარცვეს, ზოგიც დაიჭირეს, ზოგი მოკლეს ან აწამეს, ზოგმაც ანაფორა გაიხადა. მათ რიგებში იყო მღვდელი ალექსანდრეც. აი, რას წერდა ქართული პრესა ამასთან დაკავშირებით: **„როგორც სოფ. წრომიდან (ქართლი) გვატყობინებენ, სამაზრო პოლიციას შეუპყრია და გორის საპყრობილეში გაუგზავნია ადგილობრივი მღვდელი ალექსანდრე დავითაშვილი".**

1906 წლის მარტში მღვდელი ალექსანდრე გაასამართლეს და უფის გუბერნიაში გადაასახლეს. როგორც ჩანს, იმ ეტაპზე მრავლად იყვნენ გადასახლებაში მყოფი ქართველები, რომელთაც მღვდელი ალექსანდრე ნუგეშად მოევლინათ. საპატიმროში მყოფი ადამიანის მდგომარეობა უმძიმესი და აუტანელია. განსაკუთრებით რთული ასატანი იქნებოდა ეს უცხო მიწაზე გადასახლებული ქართველებისათვის. მათი ეს მძიმე ყოფა-ცხოვრება კარგად არის ასახული მღვდელ ალექსანდრეს სტატიაში, რომელიც მან 1906 წლის აპრილის დასაწყისში გამოგზავნა საქართველოში. წერილის სათაურია „რუსეთში გადასახლებულთა გაჭირვება": **„ვალად მაძევს გაცნობოთ საქართველოდან უფის გუბერნიაში გადმოსახლებულთა გაჭირვებული მდგომარეობა. აი, რაშია საქმე: ჩვენ, რიცხვით 15 კაცს, უფის გუბერნიაში გადმოსახლებულთ სხვადასხვა ადგილი დაგვინიშნეს საცხოვრებლად. ზოგს მენძელინსკი გადაგვიწყვიტეს, ზოგს ბირსკი, ზოგს სტურლიტამაკი და სხვა. რადგან უგზოობისა გამო ეტაფებით მისვლა-მოსვლა შეჩერებული იყო და არის დღესაც, მოგვცეს წინადადება, ჩვენის ხარჯით წავსულიყავით დანიშნულ ადგილებში. ვისაც ცოტაოდენი სახსარი ჰქონდა, მოინდომა თავის ხარჯით წასვლა, ვისაც არა, ძალა უნებურად საპყრობილეში უნდა დარჩენილიყო. მე მოვინდომე ჩემის ხარჯებით მენზელინსკში წასვლა (300 ვერსია უფიდან). როდესაც საპყრობილიდან გამოვდიოდი, იქ დარჩენილმა ქართველებმა ერთხმად შემომბღავლეს, შენ რომ მიდიხარ, ჩვენ აქ ვისთან გვტოვებო. დიდად ამაღელვა იმათმა სასოწარკვეთილებით სავსე საყვედურმა — დავპირდი, გავალ ქალაქში და ვეცდები, რომ ყველანი ერთად დავანიშვნინო გუბერნატორს-მეთქი. ჯერჯერობით ამით დავამშვიდე. რომ გამოვედი, პირველად ვნახე „უფიმსკი-ვესტნიკის" რედაქტორი, რომელსაც შევჩივლე გადმოსახლებულთა მდგომარეობა. რედაქტორმა მეორე დღეს გაზეთში წერილი დაბეჭდა კავკასიელ პოლიტიკურ დამნაშავეთა შესახებ და სურვილი გამოსთქვა, რომ მახლობელს ადგილს დაენიშნათ ყველანი, რადგან შორს გზები არ არის და მათი იქ გაგზავნა მოასწავებს გზაში სიცივით სიკვდილსაო. მე კი მირჩია გუბერნატორთან მისვლა. მივედი გუბერნატორთან, რომელმაც ძალიან კარგად მიმიღო და კიდეც შემისრულა თხოვნა, რომ საპყრობილეში დარჩენილები და მეც, ყველანი ერთად, ბელებეიში გავეგზავნეთ. მე ფული არა მქონდა ცოტას მეტი, ამიტომ სახლიდან მოვითხოვე და მესამე დღეს მივიღე 90 მანეთი დეპეშით (უნდა მოგახსენოთ, რომ**

ეს 90 მანეთი უკანასკნელი საღსარი ცხოვრებისა წავართვი ჩემ ობლად დარჩენილ ცოლ-შვილს). საპყრობილეში დარჩენილნი ყველანი წამოვიყვანე ჩემი ხარჯით, ბელებეიში ერთად დავიჭირეთ სახლი და ახლა აქა ვართ ყველანი. ამ ჟამად მეც გამომელია ფული. ეხლა ყველა ერთნაირად დავრჩით უსახსროთ. მთავრობა ჩვენ შესახებ ყურს აგრე რიგად არ გაიბერტყავს ჩვეულებისამებრ, მით უმეტეს ეხლა. გაცნობებთ რა ამას, ბ-ნო რედაქტორო, უმორჩილესად გთხოვთ, იშუამდგომლოთ ქართველ გულშემატკივარ საზოგადოების წინაშე ან გაზეთის საშუალებით ან კერძოდ და აღმოგვიჩინოთ დახმარება. გთხოვთ, ეს დახმარება დააჩქაროთ და ჩემ სახელზე გამოგზავნოთ ფული".

მართლაც, ქართველმა საზოგადოებამ გულთან ახლოს მიიტანა თავის თანამოძმეთა გაჭირვება და შეაგროვა გარკვეული თანხა, რაც გაგზავნილ იქნა ქ. ბელებეიში. 1906 წლის ივნისში გაზეთ „შრომაში" გამოქვეყნდა მღვდელ ალექსანდრეს წერილი, სადაც ის მადლობას უხდის ყველა გულშემატკივარს: **„ძვირფასო რედაქტორო! გთხოვთ, თქვენის გაზეთის საშუალებით გულწრფელი მადლობა გამოუცხადოთ ბელებეიში მყოფ ქართველთა სასარგებლოდ გამოგზავნილი ფულისთვის შემდეგ პირთ: ბ-ნ სოლომატინს და ჭრელაშვილს და ვინც გადასცა მათ ფული ჩვენ სასარგებლოდ, რომელთაგან მივიღეთ 66 მანეთი; ბ-ნ ჩხიკვაძეს დ. ხონში, რომელმაც გამოგვიგზავნა დეპეშით 10 მანეთი; ბ-ნ სალარიძეს, რომელაც ტფილისიდან დეპეშით გამოგზავნა 15 მანეთი; სასინოდო კანტორის მოსამსახურეთ, რომელთაც შეაგრივეს 20 მანეთი; გორის მთავარდიაკონს დავით სალარიძეს და ისააკ შალიკაშვილს, რომელთაც გამოგზავნეს 37 მანეთი და ციცქიშვილს, რომელმაც დეპეშით გამოგვიგზავნა 25 მანეთი (ეს ციცქიშვილი, ჩვენი ვარაუდით, მღვდელი უნდა იყოს). ეს ზემოდ ხსენებული შემოწირულება მანანასაებრ მოგვესწრო. დიდად ვმადლობთ ყველას თანაგრძნობისათვის. აქაურ მთავრობისაგან გულ-მოკლულებს, თქვენმა თანაგრძნობამ სიცოცხლე და მხნეობა მოგვიმატა. ძალიან გაჭირვებულნი ვიყავით, გუბერნატორს რამდენჯერმე მივმართეთ, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, მიწერ-მოწერის მეტი არაფერი გამოვიდა. დიახ, „ზავტრა", „ზავტრა"-ებით გვკვებავენ. მარტიდან დაწყებული თიბათვემდის ამნაირად გვასაზრდოვებენ. ვიტანჯებოდით და ამინისტიას მოველოდით, მაგრამ ესეც „ზავტრა" გამოდგა. ეხლა ისევ წინანდელ გაჭირვებულ მდგომარეობაში უნდა ჩავცვივდეთ, თუ ისევ ჩვენმა მოძმეებმა არ მოგვაქციეს ყურადღება. ვთხოვთ დანარჩენ ქართულ გაზეთებს, ეს წერილი გადაბეჭდონ. აქაურ ქართველების მინდობილობით, მღვდელი ალექსანდრე დავითაშვილი".**

1906 წლის შემოდგომაზე გადასახლებაში მყოფი მოძღვარი ამინისტიის ძალით გათავისუფლდა და სამშობლოში დაბრუნდა. იგი კვლავ სოფ. წრომში აგრძელებს თავის მოღვაწეობას. მისი სიცოცხლე, სამწუხაროდ, რამდენიმე წელიწადში ტრაგიკულად დასრულდა. აი, რას წერდა 1910 წლის 11 მარტს გორის მაზრის უფროსი, თავადი ვახვახიშვილი თბილისის გუბერნატორს: „გუშინ, საღამოს, სოფელ წრომში 12 კაცისაგან შემდგარმა ყაჩაღთა ბრბომ მოკლა მღვდელი დავიდოვი (დავითაშვილი). მივემგზავრები რაზმის თანხლებით. დასახმარებლად მოვლინებულნი არიან სურამის, გომის, ბორჯომის ბოქაულები".

მკვლელობის გარემოებათა შესწავლის შედეგებზე საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ახალციხის, ახალქალაქისა და გორის მაზრებში თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსის თანაშემწის მოხსენება, რომელიც დაწერილია 16 მარტს. მოხსენებაში ვკითხულობთ: „ამა წლის 12 მარტს, 4 საათზე გომში ჩამოსვლისთანავე მე შემხვდა გორის მაზრის უფროსი, პოლკოვნიკი, თავადი ვახვახოვი. მასთან ერთად დაუყოვნებლივ შევუდექი მკვლელობის გარემოებათა გამოძიებას. მღვდელ ალექსანდრე ნიკოლოზის ძე დავიდოვის მკვლელობის გარემოებათა გაცნობისა და ბოროტმოქმედთა ვინაობის დადგენის მიზნით, დილის 5 საათზე, თავად ვახვახოვთან ერთად, აგრეთვე ჩემს განკარგულებაში მყოფ პოლიციის წარმომადგენელთა თანხლებით, გავემართე სოფელ წრომში. ჩავედი სოფელში და დავათვალიერე მღვდელ დავიდოვის მკვლელობის ადგილი. აღმოჩნდა, რომ მას ეკავა ბინა თავად ციციანოვის (ციციშვილი) სახლში, რომელიც სოფლის განაპირას მდებარეობდა. მღვდელი დავიდოვი 10 მარტს, დაახლოებით საღამოს 7 საათზე შეიპყრეს ბოროტმოქმედებმა საკუთარ სახლში, გაიყვანეს ეზოში, ორჯერ ესროლეს ტყვია თავში და მოკლეს. მკვლელობა მოხდა შემდეგ პირობებში: 10 მარტს, დაახლოებით საღამოს 7 საათზე მღვდელ ალექსანდრე დავიდოვის ეზოში შევიდა რვა კაცი, ერთის გარდა ყველა შეიარაღებული იყო თოფებითა და რევოლვერებით. პირველად ისინი შევიდნენ საჯინიბოში, შეიპყრეს მღვდლის მსახური, 16 წლის გერმანე შუბითიძე და გაემართნენ მღვდლის ბინისაკენ. მღვდელი ამ დროს იწვა საწოლზე და ეთამაშებოდა უმცროს ქალიშვილს. ამავე ოთახში იმყოფებოდნენ მღვდლის ცოლი და მისი 16 წლის ქალიშვილი თამარი. შევიდნენ ოთახში და შეეკითხნენ:



წრომის ეკლესია

— ეს შენ ხარ, საშო?

— დიახ. — იყო პასუხი.

მაშინ ბოროტმოქმედებმა მოსთხოვეს მას ფული და იარაღი, რაზეც უპასუხა, რომ არ გააჩნია არც ფული, არც იარაღი და თავისი უარის დასადასტურებლად სთხოვა გაეჩხრიკათ ბინა. მღვდლის ცოლმა და ქალიშვილმა შეიარაღებული პირების დანახვაზე ატეხეს ყვირილი და შეეცადნენ გაქცეულიყვნენ ოთახიდან, მაგრამ ყაჩაღებმა არ გაუშვეს. ხმაურის გაგებაზე კნეინები - ნადეჟდა ილიას ასული და ქეთევან სვიმონის ასული ციციშვილები მოვიდნენ მღვდლის ბინაში, სადაც ისინი შეუშვეს, მაგრამ უკან აღარ გაუშვეს. სახლის პატრონი, თავადი ლევან ამირანდოს ძე ციციშვილი, ავადმყოფი კაცი, იმყოფებოდა თავის ოთახში. მაშინ ყაჩაღებმა შესთავაზეს მღვდელს მათთან ერთად ეზოში გასვლა მოსალაპარაკებლად. მღვდელმა დროის გაყვანის მიზნით დაიწყო აუჩქარებლად ჩაცმა, მაგრამ იგი ძალით, საცვლების ამარა გაიყვანეს გარეთ. მღვდლის მეუღლე გაჰყვა ყაჩაღებს, მაგრამ ორმა მათგანმა სცემა თოფის კონდახებით. ამ დროს გაისმა ორი გასროლა, რის შემდეგაც ყაჩაღები სწრაფად გაუჩინარდნენ. ატყდა განგაში, შეგროვდა ხალხი, მაგრამ ვერავინ გაბედა ყაჩაღების დადევნება. როგორც მღვდლის ცოლისა და ქალიშვილის ჩვენებით ჩანს, მათ შეძლეს ზოგიერთი სახის ამოცნობა.

ოლღა სვიმონის ასულ დავიდოვის განცხადებით, თავდასხმელთაგან ორი ყაჩაღი 1905 წლის ბოლოს მისულა მათთან იარაღის მოთხოვნით. თუ ვინ იყვნენ ეს ყაჩაღები, ვერავინ გამოიცნო, მაგრამ ადგილობრივ მცხოვრებთა გამოკითხვის შემდეგ მე დავრწმუნდი, რომ ყაჩაღები და ასევე ბოროტმოქმედების მოტივები კარგად იყვნენ ცნობილნი მცხოვრებთათვის, მაგრამ შიშის გამო დუმდნენ.

ყაჩაღთა კვალზე გაშვებული პოლიციის ძაღლი მიადგა მებორნეების ჯიხურს მდინარე მტკვართან. ორგზის დაკითხული მებორნეები, სოფელ ახალშენში მცხოვრები გლეხი ანდრია ნიკოლოზის ძე დონაძე და წრომელი გლეხი ტატე პავლეს ძე ჩუტკერაშვილი აღნიშნავდნენ, რომ შეიარაღებული პირები 10 მარტის საღამოს მათ არ გადაუყვანიათ, რაც, ჩემი აზრით, სიმართლეს არ შეესაბამება, რადგანაც მამასახლისის თქმით მღვდლის მკვლელთა კვალი მიდის ბორნამდე. ამიტომ მებორნეები ანდრია დონაძე და ტატე ჩუტკერაშვილი დავაკავე.

მოკვლეული ცნობით აღმოჩნდა, რომ რევოლუციური მოძრაობის დროს მღვდელი დავიდოვი მიეკუთვნებოდა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას და ეწეოდა მავნე პროპაგანდას სოფელ წრომის გლეხობაში, რისთვისაც, როგორც გორისა და დუშეთის მაზრების დროებითი გენერალ-გუბერნატორის 1906 წლის 3 თებერვლის მიმართვიდან ჩანს, გადაყენებულ იქნა თანამდებობიდან და გადაასახლეს უფის გუბერნიაში საგანგებო მდგომარეობის გაუქმებამდე. ექვსი თვის შემდეგ მღვდელი დავიდოვი დაბრუნდა და აღადგინეს თავის უფლებებში. უკანასკნელ ხანებში კი საგრძნობლად გამემარჯვენდა, საუბრის დროს გმობდა შანტაჟისტთა დანაშაულებრივ მოქმედებას, რის გამოც, როგორც ჩანს, ამ უკანასკნელთა უკმაყოფილება დაიმსახურა და შიშით იმის გამო, რომ იგი მათ გასცემდა, უნდა აიხსნას მისი მკვლელობის მოტივები".

„საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ VI ტომში გამოთქმულია მოსაზრება, რომ მღვდელი ალექსანდრე დავითაშვილი მოკლეს გლეხებმა იმის გამო, რომ ეწეოდა პროპაგანდას რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ. იქვე აღნიშნულია, რომ იგი ადრე გადაასახლეს გლეხობაში პროპაგანდისტული საქმიანობისათვის, ხოლო გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ მოქმედებდა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ და ა. შ.

მღვდელი ალექსანდრე დავითაშვილი

მკვლევარი გურამ შენგელია, რომელმაც დეტალურად გამოიკვლია მღვდელ ალექსანდრე დავითაშვილის ცხოვრების ეს პერიოდი, აღნიშნავს: „ეს მოსაზრებანი ურთიერთგამომრიცხავია. გამოდის, რომ მამა ალექსანდრე, თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის მოხსენების მიხედვით, „წინათ გადასახლებული იყო გლეხობაში პროპაგანდის გამო“, ხოლო როცა დაბრუნდა გადასახლებიდან, მოქმედებდა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ. აღსანიშნავია ისიც, რომ დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლები თავიანთი დანაშაულებრივი ქმედების გამართლების მიზნით ჩადენილ დანაშაულს ზოგჯერ რევოლუციურ აქტად ასაღებდნენ. არცთუ იშვიათად,, ზოგიერთ ტერორისტსა და ყაჩაღს რევოლუციონერად ნათლავდნენ. ჩვენი ვარაუდით სწორედ მსგავსი რევოლუციონერების, ფაქტობრივად მძარცველ ტერორისტთა მსხვერპლი გახდა მღვდელი ალექსანდრე დავითაშვილი. როგორც ჩანს, მისი მკვლელობა დაკავშირებული იყო ორ გარემოებასთან, კერძოდ, ფულისა და იარაღის გამოძალვასთან და ბანდიტების მხილების ვარაუდთან, რაც ცხადი ხდება შემოთავაზებული საარქივო დოკუმენტიდანაც. ისიც უნდა ითქვას, რომ ალექსანდრე დავითაშვილი აქტიურად უჭერდა მხარს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას.

გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ მღვდელი დავითაშვილი „ადრე პროპაგანდას ეწეოდა გლეხობაში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხზე...“. ასეთ პიროვნებას, ბუნებრივია, კავკასიის ადმინისტრაციული ორგანოები წყალობის თვალით არ შეხედავდნენ, მას პოლიტიკურად არასაიმედოთა სიაში მიუჩენდნენ ადგილს. ამ შემზარავი ტერაქტის ერთ-ერთ მიზეზად, ჩვენი ვარაუდით, უნდა მივიჩნიოთ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ფართოდ გაშლილ მოძრაობაში მღვდელ ალექსანდრე დავითაშვილის აქტიური მონაწილეობა — წერს გურამ შენგელია.

1911 წლის 8 თებერვალს მის მეუღლეს და მცირეწლოვან შვილებს წელიწადში 150 მანეთი პენსია დაენიშნათ. მისი მეუღლე გახლდათ ოლღა სვიმონის ასული (დაბ. 1877წ.); შვილები: თამარი (დაბ. 1894წ.), გიორგი (დაბ. 1896წ.), ირაკლი (დაბ. 1901წ.), ელენე (დაბ. 1903წ.), ქეთევანი (დაბ. 1908წ.).

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 489, აღწერა 1, საქმე 47991; გაზეთი „ივერია“ 1891წ. 258, გვ. 3; Журнал „Духовный вестник Грузинского Экзархата“ 1900წ. 20; 1901წ. 14; 1904წ. 5-6; გაზეთი „ცნობის ფურცელი“ 1906წ. 2998, გვ. 2; გაზეთი „შრომა“ 1906წ. 10, გვ. 3; 54, გვ. 4; Журнал „Вестник Грузинского Экзархата“ 1910წ. 3; 1911წ. 6; გაზეთი „დროება“ 1910წ. 62, გვ. 3-4.

ლიტ: „საისტორიო მოამბე“ 2004/2005, 77-78, გვ. 136-138 (გურამ შენგელია „პოლიტიკური ტერორისტული აქტი წრომში).

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22.
ანგარიში: № GE57LB0115123530407000. სახაზინო კოდი — 45 01 56.
9 772587 506008
რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა: bokuchavanana1@gmail.com.
მის: ვრეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მოადგილე: **ნანა ბოკუჩავა** ტ: 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, დიაკონი გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბუღალტერი: ელასი ჯიბლაძე; გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი